ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

№ 99 (20440) — ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 Ა�პᲠᲘᲚᲘ, 1989 ᲬᲔᲚᲘ. — ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

ᲝᲠᲑᲘᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲤᲠᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ. 25 აპრილი. **დასასრულს უახლოვდება ალექსანდრე ვოლკოვის, სერგი კრიკალიოვისა და ვალერი პოლიაკოვის კოსმოსური ვახტი.**

ეკიპაჟი ასრულებს სამეცნიერო პროგრამის დასკვნით ექსპერიმენტებს, დედამიწაზე დაბრუნებისათვის ამზადებს მასალებს განხორციელებულ გამოკვლევათა შედეგებითურთ. ორბიტიდან დაშვებისათვის მზადების გეგმის შესაბამისად კოსმონავტები გადიან აკრეთვე სამედიცინო გამოკვლევას, მათ შორის „ჩიბის“ კოსტიუმით ვარჯიშის დროს.

გრძელდება ასტროფიზიკური გამოკვლევები „რენტგენ“-ის საერთაშორისო პროგრამის მიხედვით. 24 აპრილს მიმდინარეობდა რენტგენული პულსარის გამოსხივების რეგისტრაცია ჰერკულესის თანავარსკვლავედში, დღეს კი ორბიტული ობსერვატორიის ტელესკოპები მიმართული იქნება გედი X-1 რენტგენის წყაროზე.

ფრენის დასკვნითს ეტაპზე კოსმონავტები ასრულებენ ბიოლოგიურ ექსპერიმენტთა სერიას უწონობის პირობებში უმაღლესი მცენარეების კულტივირების ტექნოლოგიების შემდგომ [illegible] ... ბიოლოგიურ [illegible] ... დანადგარებით იკვლევენ ხორბლისა და არაბიდოფსის ქსოვილის კულტურის განვითარების პროცესებს, ერთ-ერთ კოსმოსურ ორანჟერეაში კვლავ ხარობს ორქიდეა, რომელიც ორბიტულ კომპლექსში მიიტანა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ეკიპაჟმა.

დედამიწაზე დაბრუნებისათვის მზადება ნორმალურად მიმდინარეობს. ალექსანდრე ვოლკოვი, სერგი კრიკალიოვი და ვალერი პოლიაკოვი თავს კარგად გრძნობენ.

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ

Მ. Ს. ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ 1989 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲐᲞᲠᲘᲚᲡ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ!

საკითხის ფარგლებში, რომელიც ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმზეა შემოტანილი, უნდა განვიხილოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრთა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრთა ჯგუფის შომართვა. ნება მიბოძეთ გამოვაქვეყნო ეს დოკუმენტი.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში სკკპ ცენტრალურ სარევიზიო კომისიაში.

ჩვენ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, ვთხოვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს განიხილოს ჩვენი შემდეგი მიმართვა.

ჩვენ, სკკპ XXVII ყრილობაზე ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში არჩეულები, ყრილობის შემდეგ პერიოდში გავიდით პენსიაზე ასაკისა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

მიგვაჩნია, რომ ამჟამად, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში შემავალ ყველა ამხანაგს მოეთხოვება დაძაბული საქმიანობა გარდაქმნაში მონაწილეობისათვის, საქმის ინტერესებისათვის უნდა მოვიხსნათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრების, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატების, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრების უფლებამოსილებანი.

ვთხოვთ რა ამას სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალურ სარევიზიო კომისიას, ვაცხადებთ, რომ ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს ჩვენი მშობლიური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პოლიტიკურ კურსს.

დიდ, გულითად მადლობას მოვახსენებთ ლენინურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის, რომელიც გავგიწიეს, და მთელი სულითა და გულით ვუსურვებთ ახალ წარმატებებს ჩვენი საზოგადოების რეოლუციურ განახლებაში, გარდაქმნის ამოცანათა გადაწყვეტაში.

აღვუთქვამთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ ლენინური პარტიის საქმიანობაში.

სკკპ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲕᲠᲗᲐ ᲡᲐᲠᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატები, სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები, ვთხოვთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს განიხილოს ჩვენი შემდეგი მიმართვა.

ჩვენ, სკკპ XXVII ყრილობაზე ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში არჩეულები, ყრილობის შემდეგ პერიოდში გავიდით პენსიაზე ასაკისა თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

მიგვაჩნია, რომ ამჟამად, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში შემავალ ყველა ამხანაგს მოეთხოვება დაძაბული საქმიანობა გარდაქმნაში მონაწილეობისათვის, საქმის ინტერესებისათვის უნდა მოვიხსნათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრების, ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატების, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრების უფლებამოსილებანი.

ვთხოვთ რა ამას სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალურ სარევიზიო კომისიას, ვაცხადებთ, რომ ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს ჩვენი მშობლიური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პოლიტიკურ კურსს.

დიდ, გულითად მადლობას მოვახსენებთ ლენინურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს დიდი ნდობისათვის, რომელიც ჩვენ გავგიწიეს, და სულითა და გულით ვუსურვებთ ახალ წარმატებებს ჩვენ საზოგადოების რეოლუციურ განახლებაში, გარდაქმნის ამოცანათა გადაწყვეტაში.

აღვუთქვამთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ ლენინური პარტიის საქმიანობაში.

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲕᲠᲗᲐ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ:

ა. პ. ალექსანდროვი, ა. ა. ალიევი, ა. ტ. ალტუნინი, ა. კ. ანტონოვი, ი. ვ. არხიპოვი, ს. ა. აფანასიევი, კ. მ. ბაგიროვი, ნ. კ. ბაიბაკოვი, ბ. ვ. ბალმონტი, ვ. ვ. ბახირევი, ს. ვ. ბაშილოვი, ლ. ა. ბოროდინი, ი. ა. გერასიმოვი, ა. ი. გრიბოკოვი, მ. ს. გრომოვა, ა. ა. გრომიკო, ა. თ. გუდკოვი, ტ. ბ. გუფენკო, ვ. პ. დემიდენკო, კ. ს. დემირჩიანი, პ. ნ. დემიჩევი, ვ. თ. დობრიკი, ვ. ი. დოლგიხი, ა. გ. ეგოროვი, ა. ა. ეფიმოვი, ლ. ბ. ერმინი, ნ. თ. ვასილიევი, გ. ი. ვაშჩენკო, მ. მ. ზაიცევი, ვ. ვ. ზიმიანინი, ე. თ. ივანოვსკი, ა. ა. კარლოვი, ე. თ. კარპოვი, ი. ე. კლიმენკო, ვ. გ. კლიუევი, ბ. ვ. კონსტანტინოვი, გ. მ. კორნიენკო, ზ. მ. კრუგლოვა, ვ. ვ. კუზნეცოვი, ვ. ბ. კულიკოვი, ს. კ. კურკოტკინი, პ. ლ. ლიხაჩევი, ი. კ. ლუტაკი, ა. პ. ლიაშკო, ვ. ს. მაკარენკო, ვ. თ. მალცევი, ი. ა. მოზგოვოი, ე. თ. მურავიოვი, ა. ს. ნოჩრევკინი, ნ. ვ. ოგარკოვი, ლ. ბ. ოდინცოვი, ი. ი. პეტროვი, ა. ს. პოლიაკოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ა. პონომარიოვი, ი. პ. პროკოფიევი, ვ. ნ. პტიცინი, ო. ბ. რახმანინი, ა. მ. რეკუნკოვი, ვ. ნ. რიკოვი, ნ. ი. საგინკინი, ს. ლ. სოკოლოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ი. ტერებილოვი, ა. ა. ტიტარენკო, ნ. ა. ტიხონოვი, ა. პ. ტრეტიაკოვი, მ. პ. ტრუნოვი, ვ. ნ. ფედოსეევი, ა. ა. ფილატოვი, მ. ზ. შაიროვი, ა. მ. შკოლნიკოვი, ს. ვ. ჩერვონენკო, ა. კ. ჩორნი

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲕᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ:

ნ. ა. ანტონოვი, ს. პ. ბურენკოვი, ნ. ტ. გლუშაკოვი, ნ. გ. დავიდოვი, ვ. ვ. დემენცევი, გ. მ. ეგოროვი, ფ. ტ. ერმაში, გ. პ. ვორონოვსკი, ი. პ. იასტრებოვი, ზ. კამალიდენოვი, ნ. დ. კომაროვი, ვ. ნ. კონოვალოვი, ა. ა. კონსტანტინოვი, ტ. ხ. კოშოევი, ბ. ტ. მატაფონოვი, ს. ბ. მუკაშევი, გ. ა. ეუკოვი, ი. ი. რუბენი, ა. მ. რიბაკოვი, ფ. ტ. სარჭისიანი, ნ. ნ. სეიდოვი, ი. ა. სკლიაროვი, ლ. ბ. შაპირო, ნ. მ. შუბნიკოვი

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲕᲠᲗᲐ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ:

ნ. ა. ბალიკოვა, ვ. ბ. გილაშვილი, ვ. ა. გრებენიუკი, ი. ი. ერპალოვი, ლ. ნ. ეფრემოვი, ა. ი. ზვერევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ბ. ი. ლიგაჩევი, ლ. ლ. კრივორუჩკო, გ. თ. სიზოვი, რ.-ბ. ი. სონგაილა, ვ. ტ. სტეპანოვი

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲔᲕᲘᲖᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲬᲕᲠᲗᲔᲑᲘ:

ლ. კ. ბალიკოვა, ა. ბ. გილაშვილი, ვ. ა. გრებენიუკი, ა. ი. ერპალოვი, ლ. ნ. ეფრემოვი, ა. ი. ზვერევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ბ. პ. კომაროვა, ლ. ლ. კრივორუჩკო, გ. თ. სიზოვი, რ.-ბ. ი. სონგაილა, ვ. ტ. სტეპანოვი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐ�გᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის სამმართველომ 9 აპრილს მომხდარ ტრაგიკულ ამბებთან დაკავშირებით თბილისში გამოგზავნა მოსკოვში აკრედიტებულ საზღვარგარეთელ კორესპონდენტთა ორი ჯგუფი, მათ შორის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტელეკომპანიებისა და პრესის წარმომადგენლები.

უცხოელი ჟურნალისტები შეხვდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გ. გ. გუმბარიძეს. ისინი ესაუბრნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ვ. კვარაცხელიას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 9 აპრილს ქალაქ თბილისში მომხდარი ამბების გარემოებათა გამომძიებელი კომისიის თავმჯდომარეს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს თ. შავგულიძესა და ამ კომისიის წევრებს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს ი. შენაღარაშვილს, რესპუბლიკური პარტიული გაზეთების „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორებს ნ. ჩერქეზიშვილსა და ა. იოსელიანს. სტუმრები ეწვივნენ სამკურნალო დაწესებულებებს, სადაც ტრაგედიის დროს დაშავებულნი მკურნალობენ, და ესაუბრნენ მათ.

ჟურნალისტებმა მიიღეს ამომწურავი პასუხი ყველა კითხვაზე, რომლებიც რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, 9 აპრილის ამბებს ეხებოდა. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 26 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ. (საქინფორმის სპეც. კორ.). არბატზე მდებარე „მზიურის“ კულტურულ ცენტრში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გ. გუმბარიძე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის აპრილის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა, შეხვდა დედაქალაქში მოსწავლე სტუდენტთა და ასპირანტთა ჯგუფს, მეცნიერებისა და კულტურის სფეროს მუშაკებს — საქართველოს წარმომადგენლებს.

მოსკოვში მყოფ ქართველი საზოგადოებრიობისა და ახალგაზრდობის წარმომადგენლებს დაწვრილებით გააცნეს თბილისის პოლიტიკური ვითარება და 9 აპრილის ამბების გამოძიების მიმდინარეობა. შეხვედრის დროს გაგრძელდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დიალოგი გარდაქმნის, საზოგადოების განახლების, დემოკრატიზაციისა და სიჯარობის პროცესების შემდგომი გაღრმავების ყველაზე აქტუალურ, მტკივნეულ პრობლემებზე, აღინიშნა, რომ ამასთან განუხრელად უნდა იქნეს დაცული კონსტიტუციური ნორმები და კანონიერება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ მომხდარი მოვლენების, აგრეთვე აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურებების გამო, რასაც მოჰყვა მსხვერპლი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დაეთანხმა შრომითი კოლექტივებსა, საზოგადოებრიობის აზრისა და სურვილების საფუძველზე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტს მიერ გამოთქმულ წინადადებას 1989 წლის 1 და 2 მაისს შრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღის აღსანიშნავი საზეიმო დემონსტრაციის ნაცვლად გაიმართოს კრებები, მიტინგები, შეხვედრები პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანებთან, მაისობები და სხვა ღონისძიებები უშუალოდ შრომითს კოლექტივებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. (ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევ კომისიაში კომისიის წევრი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე შევიდა წინადადებით, რომ კომისიასთან შექმნილიყო სტუდენტი ახალგაზრდობის სპეციალური ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: გია მამალაძე (თავმჯდომარე), თეიმურ ისაკაძე, ბადრი მაჭავარიანი, ირაკლი მელაშვილი, ნიკო ნიკოლოზიშვილი, გიორგი ტაბიძე, დათო ტურაშვილი, სანდრო ჭიპაშვილი.

კომისიის წევრებმა წინადადებას მხარი დაუჭირეს.

ᲛᲝᲘᲯᲐᲠᲔᲗᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘᲡ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში სიმინდს თესავენ. თესვას პირველნი მოიჯარეები შეუდგნენ, რომლებმაც სამარცვლე კულტურებისათვის აიღეს 400 ჰექტარი. ათი მექანიზატორი უხვი მოსავლის მოწევას აპირებს.

▼▼

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მთავარი აგრონომი ნოდარ კურდაძე და ენტომოლოგი მიხეილ ალხაზიშვილი საგაზაფხულო თესვის დროს; მოიჯარეები გიორგი ოდიშელიძე, მამუკა მამულაშვილი და შოთა ნადაშვილი.

ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს ქალაქ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს მომხდარი ამბების გარემოებათა გამომკვლევ კომისიაში კომისიის წევრი აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე შევიდა წინადადებით, რომ კომისიასთან შექმნილიყო სტუდენტი ახალგაზრდობის სპეციალური ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: გია მამალაძე (თავმჯდომარე), თეიმურ ისაკაძე, ბადრი მაჭავარიანი, ირაკლი მელაშვილი, ნიკო ნიკოლოზიშვილი, გიორგი ტაბიძე, დათო ტურაშვილი, სანდრო ჭიპაშვილი.

კომისიის წევრებმა წინადადებას მხარი დაუჭირეს.

ᲔᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲗᲐᲜ

ᲡᲙᲙᲞ ცენტრალური კომიტეტის 25 აპრილს გამართული პლენუმი ჩვენი ცხოვრების დიდი პოლიტიკური მოვლენაა და გარდაქმნის გზაზე სერიოზული ნიშანსვეტია, რომელიც მოწმობს, რომ პარტია რეალისტურად და თვითკრიტიკულად უყურებს თავის მოქმედებას. ამაზე იყო ლაპარაკი იმავე დღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში მოწყობილ პრესკონფერენციაზე, რომელიც საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის გაიმართა. პლენუმის შედეგებზე ილაპარაკეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომატეტის მდივანმა ვ. ა. მედვედევმა და პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. პ. რაზუმოვსკიმ.

პასუხი გაეცა კორესპონდენტთა მრავალ კითხვას, რომლებიც შეეხებოდა როგორც პარტიის საქმიანობის ზოგიერთ მხარეს, ისე საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნების შედეგებს.

(ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).

ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲪ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐᲪ...

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ასს რესპუბლიკის მაღალმთიან რაიონებში სტიქიურ უბედურებათა შედეგები ძალზე მძიმეა. მეწყრებმა და ღვარცოფებმა შეიწირა ათობით ადამიანის სიცოცხლე, დაზიანა სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ობიექტები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საცხოვრებელი სახლები. დაზარალებულთა დასახმარებლად აჭარის ბინსოცბანკში გახსნილია №270057 ანგარიში, სადაც უკვე იწყო შემოსვლა შენატანებმა.

ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა ამ ანგარიშზე 5000 მანეთი ჩარიცხეს, ბათუმის ნავთობგადასატვირთავმა ცენტრალურმა ბაზის მუშაკებმა — 10.000 მანეთი.

საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აჭარის ორგანიზაციის გამგეობამ დაზარალებულთა დასახმარებლად 7.000 მანეთი გაიღო, ხოლო საქართველოს საისტორიო საზოგადოების აჭარის საოლქო საბჭოს პრეზიდიუმმა — 6 ათასი მანეთი.

გარდა ფულადი დახმარებისა, დიდია პრაქტიკული თანადგომაც.

ქედის რაიონიდან სოფელ სხალთაში გაგზავნილია სოფლის მეურნეობის პროდუქტებითა და პირუტყვის საკვებით დატვირთული 7 ავტომანქანა. ხიხაძირში, სადაც გარესამყაროს 10.000 მცხოვრებია მონყვეტილი ზვავის შედეგად, ბათუმიდან ვერტმფრენით გაემგზავრა ექიმთა ბრიგადა, ნაიღეს სურსათ-სანოვაგე და პირველი მოთხოვნილების აუცილებელი საგნები.

მახინჯაურში სტიქიით დაზარალებულთა მისაღებად მზადაა ბათუმის ტურისტული ბაზები, მახინჯაურის პანსიონატი „ნარინჯი“.

ᲛᲢᲙᲘᲪᲚᲔᲑᲐ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲙᲣᲑᲘᲡ ᲛᲔᲖᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ

ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ კრებული „სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის ვიზიტი კუბის რესპუბლიკაში“, მასში შეევიდა ანგარიშები და რეპორტაჟები მიმდინარე წლის 2-5 აპრილს კუბაში საბჭოთა ხელმძღვანელის ყოფნის, საბჭოთა კავშირ-კუბის მოლაპარაკების, კუბელ მშრომელებთან და ჟურნალისტებთან მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრების შესახებ, საბჭოთა კავშირისა და კუბის რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების ტექსტი. კრებულში, რომელიც პოლიტგამომცემლობამ გამოუშვა, შეევიდა აგრეთვე უმაღლეს დონეზე საბჭოთა კავშირ-ირლანდიის შეხვედრის მასალები. (ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘ).

გუნება უსულგულობას

არ გვაპატიებს

სოჭა ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის მარტის პლენუმმა, რომელმაც შეიმუშავა პარტიის ახალი აგრარული პოლიტიკის გრანდიოზული პროგრამა, დიდი მნიშვნელობა მიანიჭა ეკოლოგიურ პრობლემას. „საზოგადოება — განაცხადა პლენუმზე მ. ს. გორბაჩოვმა, — დღეს აქტიურად ჩაება ეკოლოგიური ამოცანების გადაწყვეტაში, საბჭოთა საზოგადოებრიობის ასეთი პოზიციის ყოველნაირად უნდა მივესალმოთ და მხარი დავუჭიროთ“.

პლენუმის გადაწყვეტილებათა პირდაპირი პასუხი, მისი უშუალო გამოძახილი იყო 17 მარტს გამართული პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც იმსჯელა ქალაქის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების, შრომითი კოლექტივების ამოცანებზე ბუნების დაცვის, გარემოს გაჯანსაღების მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

პლენუმს წინ უსწრებდა ნაყოფიერი მოსამზადებელი მუშაობა. ჯერ კიდევ მარშან, ნოემბერში, საქალაქო კომიტეტში შეიქმნა ეკოლოგიური მდგომარეობის შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი, რომელსაც საქალაქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებით სათავეში ჩაუდგა პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თ. ხაზარაძე. მასში გაერთიანდნენ ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები, მუშათა კლასის, ინტელიგენციის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. რეგულარულად ტარდებოდა ჯგუფის სხდომები, რომლის შესახებ საქალაქო გაზეთი „სოციალისტური რუსთავი“ წინასწარ აცნობდა ქალაქის მშრომელებს და ყველას, ვისაც სურდა და შესაძლებლობა ჰქონდა, შეეძლო დასწრებოდა მის სხდომებს, გამოეთქვა თავისი აზრი. პლენუმის წინა დღეებში გაიმართა სექციური სხდომები მრეწველობის, ტრანსპორტის, საქალაქო მეურნეობის მომართულებათა მიხედვით. დიდი იყო საზოგადოებრიობის დაინტერესება ამ საკითხისადმი. სხდომებზე წამოჭრილმა პრობლემებმა, წინადადებებმა, შენიშვნებმა, ცხადია, ფართო ასახვა ჰპოვეს მომავალი პლენუმის მასალებში.

პლენუმის მნიშვნელობა კიდევ უფრო გაზარდა იმან, რომ მისი მომზადებისას ქალაქში მოიწვიეს საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების, მეზობელი რაიონების ხელმძღვანელები და სპეციალისტები, რომელთა ძალისხმევაზე დამოკიდებულია ამ რთული პრობლემების წარმატებით გადაჭრის ბედი. ბევრი მათგანი პლენუმის მუშაობაშიც მონაწილეობდა.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა თ. ხაზარაძე. მოისმინეს სექციური სხდომების ხელმძღვანელების: პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნის ი. მაჭავარიანის, სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის თ. დალაქიშვილის, თავმჯდომარის მოადგილის ს. ტოპრაკაშვილის ანგარიშები სექციების მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე. სიტყვებით გამოვიდნენ რესპუბლიკის ბუნების დაცვისა და სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. ქუთათელაძე, „აზოტის“ საწარმოო გაერთიანების გენერალური დირექტორი ზ. კერვალიშვილი, პარტიის გარდაბნის რაიკომის მდივანი დ. რეხვიაშვილი, ცემენტის ქარხნის დირექტორი ჯ. თათარაშვილი, „ავტოვაზგაზეკატის“ ქარხნის ელექტროშემდუღებელი ვ. პოგორელოვი, მეტალურგიული ქარხნის მთავარი ინჟინერი რ. თხელიძე, პირველი სამშენებლო ტრესტის მთავარი ინჟინერი გ. ჯიხვაშვილი და სხვები.

ახლა უკვე იგრძნობა ის დიდი ცვლილებები, — თქვეს პლენუმის მონაწილეებმა, რომლებიც გარემომცველი ბუნების დამოკიდებულებაში შეიტანა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ „ქვეყანაში ბუნების დაცვის საქმის ძირეული გარდაქმნის შესახებ“. ამ დადგენილების საფუძველზე პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შეიმუშავეს ქალაქის საწარმოებში გარემოს დაცვის 1986-1990 წლების ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, რომლის განხორციელებას სისტემატურად განიხილავენ საქალაქო კომიტეტის ბიუროსა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომებზე, ეწყობა ბუნების დაცვის ერთთვიური, ეკოლოგიური შაბათობები, რეიდები, გეგმიური შემოწმებები, ბუნების დაცვის ობიექტების მშენებლობასა და კაპიტალურ შეკეთებაზე რამდენიმე წელში დაიხარჯა 25 მილიონი მანეთი. შესრულებული სამუშაოს შედეგად ატმოსფეროში სხვადასხვა მავნე ნივთიერებების გამოყოფა სამნახევარჯერ და უფრო მეტად შემცირდა, მაგრამ იგი მაინც ბევრად ჭარბობს დასაშვებ ნორმებს.

საამქროს მესამე ღუმელის ელექტროფილტრის რეკონსტრუქცია და დღე-დამეში 100 ტონით შემცირდა ატმოსფერული ჰაერის დამტვერიანება. თითქმის სამჯერ იყო მავნე გამონაბოლქვების რაოდენობამ საშენ მასალათა კომბინატში აკმიგორნის და მინერალური ბამბის საამქროების დახურვისა და თაბაშირის საამქროს რეკონსტრუქციის შედეგად, დადებითი ტენდენცია აღინიშნება წყლის დაცვაშიც. მკვეთრად შემცირდა მდინარე მტკვრიდან საწარმოთა მიერ აღებული წყლის ხარჯი, ხოლო ჩამდინარე წყლების მოცულობა, რომელსაც გაწმენდა არ სჭირდება, გაიზარდა. თუ ხუთიოდე წლის წინათ მდინარე მტკვარში ქალაქის ტერიტორიიდან ჩამდინარე ნავთობპროდუქტების რაოდენობა ნორმას 18-ჯერ აღემატებოდა, ამჟამად ორჯერ აღემატება. მკვეთრად შემცირდა ფენოლითა და ამიაკით გარემოს დაბინძურება.

ორატორებმა აღნიშნეს აგრეთვე, რომ წარმატებით წყდება პარტიის საქალაქო კომიტეტის ეკოლოგიური პრობლემების საერეალიზაციო ღონისძიებათა გეგმით გათვალისწინებული სხვა საკითხებიც. კერძოდ, მალე ქალაქიდან გაიტანენ ტაბახმელის ბიოკომბინატის ცხვრის ფარეხებს, გაჩიანის ხორცკომბინატის ძვლის საამქროს, ქალაქს დაუბრუნდება ტყე-პარკის ტერიტორიის მდებარე სანერგე მეურნეობა, რომელიც გაუგებარი მიზეზების გამო ერთ დროს მეტუფეყვნების საკვებშორი სამეცნიეროკვლევით ინსტიტუტს გადაეცა. მკვეთრად გაუმჯობესდება ეკოლოგიური სიტუაცია გაჩიანის ხორცკომბინატისა და გამარჯვების მეფრინველეობის ფაბრიკის გამწმენდი ნაგებობების რეკონსტრუქციის შემდეგ, ხოლო ახალი კაბალი, რომელიც მტკვარზე აშენდება, საავტომობილო ხიდის ფუნქციასაც შეასრულებს, რაც საგრძნობლად განტვირთავს ქალაქს გარდაბნის მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტის ნაკადისაგან. ამჟამად ცემენტის ქარხანაში ხორციელდება სამუშაოები, რომელიც ატმოსფეროს მტვრით დაბინძურებას მინიმუმამდე შეამცირებს. მიმდინარეობს წყდის ნარჩენებისაგან ტყე-პარკის გაწმენდის სამუშაოები, ქალაქის ავტოტრანსპორტი გადაჰყავთ შეკუმშული გაზით მუშაობაზე, გეგმა ითვალისწინებს ბუნების დამცავ სხვა სამუშაოებსაც.

პლენუმის მონაწილეებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ გაწეული დიდი მუშაობის მიუხედავად ქალაქის ბევრი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელები მაინც კვლავინდებურად გულგრილობას იჩენენ ეკოლოგიური საკითხების მიმართ. ბუნების დაცვის ღონისძიებებს ზოგან კვლავ მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ და არ იწუხებენ თავს მის მოსაგვარებლად. მოიყვანეს კონკრეტული ფაქტები: მეტალურგიული ქარხნის კოქსქიმიური საამქროს ბრუნვითი წყალმომარაგების ბიოგამწმენდი ნაგებობა, რომელიც ორი წლის წინათ უნდა ამოქმედებულიყო და ახლაც დაუშთარებელია, მნიშვნელოვნად შეამცირებდა ტოქსიკური ნივთიერებებს აქედან მდინარე მტკვარში რომ ხვდება, ხოლო წყლის ხარჯი საკმაოდ შემცირდებოდა. მშენებლობის გაჭიანურებაში ბრალი მიუძღვით დამკვეთს (ქარხნის დირექტორის მოადგილე ვ. ბარამიძე), კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს (უფროსი ი. ჩუბინიძე), № 1 სამშენებლო ტრესტს (მართველი გ. ქართველიშვილი, მთავარი ინჟინერი გ. ჯიხვაშვილი), გენერალურ მოიჯარადარს — მესამე სამშენებლო სამმართველოს (უფროსი თ. ჯიქია). ობიექტი დროულად არ უბრუნველყვეს არსებულდარტული მოწყობილობებით, დაბალი იყო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ტემპი, ხოლო ხარისხი — კიდევ უარესი. ხარვეზების გამოსწორება დამატებით მოითხოვს დიდ დროსა და ხარჯებს. დადგენილი ვადების დარღვევით მიმდინარეობს პირველი საკოქსე ბატარეის რეკონსტრუქციაც და კოქსჩამწყობი კოშის მშენებლობაც, კოქსქიმიური საამქრო კი კვლავაც რჩება წყლის აუზის, ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების წყაროდ, რადგან კოქსს ისევ ფენოლიანი წყლით აქრობენ. უფრო მეტიც: ტექნოლოგიურ პროცესში აღარ იყენებენ ფენოლის, ამიაკის, ციანიდების, გოგირდწყალბადისა და სხვა ნივთიერებათა დამჭერ მოწყობილობას. ამავე ქარხანაში ყველა ღუმელი აღჭურვილი უნდა იყოს ტრესტს (მართველი გ. ქართველიშვილი, მთავარი ინჟინერი გ. ჯიხვაშვილი), გენერალურ მოიჯარადარს — მესამე სამშენებლო სამმართველოს (უფროსი თ. ჯიქია). ობიექტი დროულად არ უბრუნველყვეს არსებულდარტული მოწყობილობებით, დაბალი იყო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ტემპი, ხოლო ხარისხი — კიდევ უარესი. ხარვეზების გამოსწორება დამატებით მოითხოვს დიდ დროსა და ხარჯებს. დადგენილი ვადების დარღვევით მიმდინარეობს პირველი საკოქსე ბატარეის რეკონსტრუქციაც და კოქსჩამწყობი კოშის მშენებლობაც, კოქსქიმიური საამქრო კი კვლავაც რჩება წყლის აუზის, ჰაერისა და ნიადაგის დაბინძურების წყაროდ, რადგან კოქსს ისევ ფენოლიანი წყლით აქრობენ. უფრო მეტიც: ტექნოლოგიურ პროცესში აღარ იყენებენ ფენოლის, ამიაკის, ციანიდების, გოგირდწყალბადისა და სხვა ნივთიერებათა დამჭერ მოწყობილობას. ამავე ქარხანაში ყველა ღუმელი აღჭურვილი უნდა იყოს ტრესტს (მართველი გ. ქართველიშვილი), მთავარი ინჟინერი გ. ჯიხვაშვილი).

ბევრი ნაკლოვანებები აქვს აგრეთვე ქალაქის კომუნალურ სამსახურს. ქალაქს თითქმის ყველა უბანში შეხვდებით ნაგვის გროვებს, წლობით გაუწმენდავ და მოუწესრიგებელ ადგილებს, გადათხრილ ქუჩებს, ყოველად შეუწყნარებელია საცხოვრებელი სახლების, ეზოებისა და სადარბაზოების სანიტარული მდგომარეობა, არ ზრუნავენ ნაგვის ბუნკერების ქმიაკებით დამუშავებაზე, ეს კი ხელსაყრელ პირობებს ქმნის, მღრღნელებისა და მავნე მწერების გასამრავლელად. მართლაც, დიდად სცოდავენ საბინაო მეურნეობის ტრესტისა და სადეზინფექციო სადგურის მესვეურები. არსებული რიული სანიტარიული ვითარება მოწმობს აგრეთვე, რომ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ვერ გარდაქმნა მუშაობა ქალაქის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიურმა სამსახურმა. მეტი გერგილიანობა და ორგანიზებულობა მოეთხოვება ქალაქის კეთილმოწყობის გაერთიანებას, რომელშიც კომუნალური მომსახურების რამდენიმე სამსახური შედის, მაგრამ ისინი უაღრესად დაქსაქსულად მოქმედებენ.

ბუნების დაცვის საქალაქო კომიტეტის მუშაობაც არ შეესაბამება თანამედროვე ამოცანებს, მისი მუშაკები ხშირად „მოწყალე ძიების“ როლში გამოდიან და პრინციპულობას ვერ იჩენენ იმათ მიმართ, ვინც სასიცოცხლო გარემოს ხელყოფს.

პლენუმმა ფართო საყაროობისა და დემოკრატიის საფუძველზე ყოველმხრივ გაანალიზა ის არასასურველი ეკოლოგიური სიტუაცია, რომელიც რუსთავში შეიქმნა, დასახა არსებული ნაკლოვანებების გამოსწორების კონკრეტული ამოცანები. ეკოლოგიური მდგომარეობა ერთბაშად მოსაგვარებელი საკითხი როდია, განაცხადეს პლენუმის მონაწილეებმა, მას ყოველდღიური ზრუნვა და ძალისხმევა სჭირდება. რაც მთავარია, ამჟამად გვაქვს მომავალი საქმიანობის კონკრეტული გეგმა და ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საბოლოო ამოცანების პრაქტიკულ განხორციელებას. პერსპექტივა, რომელიც პლენუმმა დაგვისახა, რეალური და საამედოა. ახლა მთავარია თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობის ამაღლება და კეთილსინდისიერი დამოკიდებულება მინდობილი საქმისადმი. ბოლომდე უნდა გავიცნობიეროთ, რომ გარემომცველი ბუნების მიმართ უღიერ და უსულგულო დამოკიდებულებას მომავალი არ გვაპატიებს.

ვინც პლენუმის დარბაზში იჯდა ამასთანავე შეუძლია დაბეჭითებით განაცხადოს: ასე ღრმად, კონსტრუქციულად ამ საარსებო პრობლემებზე პარტიის საქალაქო კომიტეტს წინათ არასოდეს უმსჯელია.

პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმმა მიღებული დადგენილების შესრულების შემოწმებაზე ხელმძღვანელობა და კონტროლი დაავალა პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტს, სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს, რაც სისტემატურად მოხსენდება პარტიის საქალაქო კომიტეტის წევრებს, წევრობის კანდიდატებს, საარვეიზო კომისიის წევრებს, საქალაქო საბჭოს სახალხო დეპუტატებს, პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმებსა და ბიუროს სხდომებს, საქალაქო საბჭოს სესიებსა და სხდომებს.

ეკოლოგიური მდგომარეობა ქალაქის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ნამდვილად უპირველესი საზრუნავი გახდა.

დავით გიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მოვლენათა ქრონიკა

სოფლის აღორძინება

ლაგოდეხი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ალაზნის ხეობაზე გადასვლის შემდეგ, ჭიაურის ტყის ბოლოს, რაიონის პირველი სოფელი ჰერეთისკარია. მაგრამ, საბუნებროდ, დროთა განმავლობაში, უყურადღებობის გამო აქაური მოსახლეობა თანდათან გაკარიფა და ბევრი უბანი დაცარიელდა. სოფელი უწინდელს აღარ ჰგავს.

და აი, გადაწყდა სოფლის აღორძინება. უწინარესად საქმე იმით დაიწყო, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და საწარმო-დაწესებულებებმა წლეულს 22 სამოთახიანი სახლის აშენება ითავეს.

სოფლის შენებაში ახალგაზრდობა ძირითადი ძალაა. საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა ხუთი სახლის მშენებლობისთვის ახალგაზრდული ლატარიის ბილეთების რეალიზაციით მიღებული თანხიდან 90 ათასი მანეთი გამოჰყო. თითოეულ მეკომურს გამოეყოფა 2.500 კვადრატული მეტრი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კომკავშირის ლაგოდეხის რაიკომმა სოფლის აღორძინებას ახალგაზრდულ მშენებლობად გამოაცხადებს, შესაბამისი მონაწილეობას მიიღებენ ჭაბუკები და ქალიშვილები. აღსანიშნავია ისიც, რომ სახლები უსასყიდოდ გადაეცემა ახალგაზრდა მრავალშვილიან ქართულ ოჯახებს, ახალდაქორწინებულებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს შრომაში. სოფლის კურთხევა გათვალისწინებულია წლეულს, ოქტომბერში, „ჰერეთობაზე“.

საინტერესოა ისიც, რომ ჭიაურის მუხებას ახლოს, სადაც სახლები შენდება, გაყვანილია სასმელი წყალი, აქვეა მინერალური, ბუნებრივად თბილი წყლის სამკურნალო კოოპერატივი. სამკურნალო ადგილებ კომფორტულია და იქ კვალიფიციური ექიმები უმკურნალებენ.

აღორძინებულ სოფელში მშრომელებს ცხოვრების ყველა პირობა ექნებათ — განახლდება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა მუშაობა, კეთილმოწყობა ქუჩების, განათდება... ურიგო არ იქნება სოფელს „ჭიაური“ დაერქვას, რადგან ძველი ჰერეთი იქ არც იწყებოდა, არც თავდებოდა და ჰერეთისკარი რატომ უნდა ერქვას?

▼▼

დანაკლისი რომ ანაზღაურდეს

თიანეთი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). განვლილმა ზამთარმა ბევრი საფეიერალი გაუჩინა თიანეთის რაიონის მიწათმოქმედთ. მშრალმა ყინვამ და ქარებმა გამოფიტა ნიადაგი, თესლის ნაწილი ქარმა გაფანტა, ნაწილმაც აღმოცენების უნარი დაჰკარგა. დიდი ფართობი ხელმოცარედ დასამუშავებელი გახდა. ამიტომ თიანეთ მიწათმოქმედთ ზამთრის უამინდობით მიყენებული დანაკლისის ასანაზღაურებლად დიდი მოდღვმება და ბარეა მართებთ.

წლეულს საზოგადოებრივ მეურნეობებში უნდა დაითესოს ლობრო 200 ჰექტარზე, სიმინდი — 300 ჰექტარზე, შვრია —150 ჰექტარზე, მრავალწლიანი ბალახები — 500 ჰექტარზე. მომძლავრებულ საგაზაფხულო სამუშაობს მომზადებული შეხვდნენ თიანეთის საბჭოთა მეურნეობა და სიმონიანთხევის კოლმეურნეობა, მაგრამ ზოგ საზოგადოებრივ მეურნეობას ჯერ კიდევ არა აქვთ საკმარისი თესლი, გასამართავი ტექნიკა. დრო კი არ ითმენს.

კონსტანტინე ილურიძე

საქართველოს მუშათა კლასის რიგებს გამოაკლდა ცნობილი მებრძოლი, სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის საპატიო მოქალაქე, 1939 წლიდან სკკპ წევრი კონსტანტინე მიხეილის ძე ილურიძე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა რესპუბლიკის მრეწველობის წინსვლისა და განვითარების საქმეში.

კონსტანტინე ილურიძე დაიბადა 1910 წელს, გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში, გლეხის ოჯახში.

1927 წელს შევიდა საკავშირო ალკკ რიგებში, 1929 წელს იგი აირჩიეს სასოფლო საბჭოს დეპუტატად. 1930 წელს ჩამოვიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი (ახლანდელი ელექტროვაგონშემკეთებელი) ქარხნის სამეფდელო-საჩამომსხმელო საამქროში მეშვიდელად, სადაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა.

კ. ილურიძე იყო საქართველოში სტახანოვური მოძრაობის პიონერი, თავდადებით შრომობდა ჩვენს ქვეყანაში პირველი ხუთწლედებისა და შემდგომ პერიოდებში.

დიდი სამამულო ომის დროს ენერგიის დაუზოგავად მუშაობდა სპეციალურ საამქროში, რომელიც ფრონტისათვის ამზადებდა ჭურვებს, ნაღმსატყორცნებს, რეაქტიულ დანადგარებს. პირადად მონაწილეობდა ქარხანაში ჯავშნოსანი მატარებლის „სერგეი მირონის ძე კიროვისა“ და „საბჭოთა საქართველოს“ შექმნაში.

თავისი ნახევარსაუკუნოვანი გმირული შრომით იგი ყოველთვის ახალი დროის ნამდვილი მუშის ტიპს ასახიერებდა და იყო როგორც საქართველოში, ასევე მთელს ამიერკავკასიაში ერთ-ერთი უძველესი შრომითი და რევოლუციური საწარმოს — ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ღირსეული ტრადიციების გამგრძელებელი.

ქარხანაში მუშაობის მანძილზე კოტე ილურიძე ყოველთვის დიდი ენთუზიაზმით, საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით და ერთგულებით გამოირჩეოდა. იყო ახალგაზრდობის საუკეთესო აღმზრდელი და დამრიგებელი.

თავდაუზოგავი შრომისა და მიღწეული წარმატებებისათვის კ. მ. ილურიძეს მინიჭებული ჰქონდა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, დაჯილდოვებული იყო ორი ლენინის, შრომის წითელი დროშის ორდენებით, მრავალი მედლით, მინიჭებული ჰქონდა საპატიო რკინიგზელის წოდება.

1979 წელს კ. ილურიძე აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ, იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი.

გულისხმიერი ადამიანის, ახალგაზრდობის დამრიგებლის, კომუნისტისა და მოქალაქის კონსტანტინე ილურიძის ხსოვნა დიდხანს დარჩება ქართველი ხალხის გულში და ღირსეულ ადგილს დაიკავებს რესპუბლიკის მუშათა კლასის სახელოვან მატიანეში.

გ. გ. გუმბარიძე, ნ. ა. ჭრთანავა, ბ. ა. ანჩაბაძე, გ. დ. მახარაშვილი, გ. ა. მეტონიძე, ვ. მ. სირაძე; ვ. ი. ვადაჭკორია, ე. ე. კაბაბა, ს. ი. გოგიბერიძე, ბ. ვ. ბერიძე, რ. ა. ბოგვლიძე, კ. ვ. გუჯაბიძე, ჯ. ს. ზამბახიძე, ნ. უ. ჯაში, ტ. ვ. ჯაბაური, ბ. ს. ბაჩეჩილაძე, ტ. ვ. როსტიაშვილი.

საახალწლო მეურნეობა

რატომ გაუჭირდა ქარხანას?

ზარშანდელი სამეურნეო წელი თერჯოლის რაიონის აჯამეთის სილიკატური აგურის ქარხნის კოლექტივს ურიგოდ არ დაუმთავრებია, შეასრულა როგორც სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, ისე სახელშეკრულებო მიწოდების დავალებები, საბალანსო მოგებამ 85 ათასი მანეთი შეადგინა.

მაგრამ ეს იყო შარშან. წლევანდელი წლის განვლილი პერიოდი კი მისთვის ძალზე დაძაბული გამოდგა. ხოლო მდგომარეობის ოპერატიულად და რადიკალურად გარდაქმნის სიმპტომები არ იგრძნობა. ფინანსურ სირთულეებთან ერთად მუშაობას ართულებს ქარხნის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის პრიმიტიული დონე და ნედლეულის შეფერხებებით მიწოდება, ბანკის ვადიანი და ვადაგადაცილებული დავალიანება, საბრუნავი სახსრების გარღვევა, მომწოდებელთა გაუნაღდებელი ანგარიშები, გადატვირთული საქონლისათვის არ მიეღიათ 1598 ათასი მანეთი და სხვ.

ასე, მაგალითად, ქარხნიდან აგური წყიღეს, მაგრამ თანხა ჯერ არ გადაუხდიათ ფოთის მეათე, ბათუმის მეხუთე, ხუჯდიდის მეთორმეტე, თბილისის მეშვიდე, ჭიათურის მერვე, ცხაკაის მეხუთე, სამტრედიის მეორე, ოჩამჩირის მეშვიდე, მახარაძის მერვე სამშენებლო ტრესტებს, ტყვარჩელის და ტყიბულის სამშენებლო სამმართველოებს, „აგრომშენის“ რესპუბლიკური გაერთიანების ორგანიზაციებს, „ტრანსკავკასმშენის“ ტრესტის, „საქსამთოქიმიის“ და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებს.

ქარხნის დირექციამ ბევრჯერ შეახსენა მათ, რომ საჩქაროდ გადმოერიცხათ საწარმოსათვის წაღებული მასალის ღირებულება, მაგრამ, ბევრი არათუ თანხას არ რიცხავს, პასუხსაც არ უგზავნის.

არადა, თანხის გადაუხდელობა კიდევ უფრო აუარესებს ქარხნის მდგომარეობას. ამიტომაც საწარმოს არა აქვს საკმარისი რაოდენობის საწვავი, სათადარიგო მასალები, მომწოდებელს დროულად ვერ უხდის ვალს. მარტო ამის გამო მან შარშან ჯარიმის სახით 120 ათასი მანეთი გადაიხადა, წელს კიდევ მეტია მოსალოდნელი.

ყოველივე ამით იმას კი არ ვამტკიცებთ, თითქოს ქარხანაში შექმნილი ერთობ ცუდი მდგომარეობა მხოლოდ გარეშე, ობიექტური მიზეზების ბრალი იყოს. სუბიექტური მიზეზიც ბევრია. ქარხანაში ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს აგურის მოხსნის მექანიზაციისა და ავტომატიზაციის არსებული დონე. წნეხიდან აგურის მოხსნისა და შესაორთქლ რონდებზე მათი გადატანის პროცესი ხელით წარმოებს. ეს უმძიმესი შრომაა. ცვლაში მუშას 20 ტონაზე მეტი ტვირთის გადატანა უწევს ხელით. ამასთანავე ზოგ უბანზე დამტვერიანება დასაშვებ ნორმებს აღემატება.

გადაუდებელ რეკონსტრუქციას საჭიროებს საყალიბე განყოფილება, რომელშიც ყოველ წნეხს უნდა დაუყენდეს ავტომატ-მომხსნელები. თუ უბანზე ავტომატიზაცია არ დაინერგა, მუშათა შენარჩუნება ძალზე გაძნელდება.

თუმცა მარტო ეს როდი ჭირს. ქარხანა მთლიანად ამორტიზებულია. მოძველებულია ავტოკლავები. კოქსი და თხევადი საწვავი უნდა შეიცვალოს ბუნებრივი გაზით, რომელიც საგრძნობლად გაუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, გაიაფებს პროდუქციას და გარეშოც არ დანაგვიანდება. ქარხანაში საერთოდ არ არის სასაწყობო მეურნეობა.

შეფერხებებია მომარაგებაშიც. მდგომარეობას ძალზე ართულებს მიწოდებული პროდუქციის უხარისხობაც. რომლის 28 პროცენტი გაცრის შედეგად იყრება, შარშან ამ მიზეზით 250 ათასი მანეთის ქვეშა ჩამოწერეს, რაც, ცხადია, მოგებას დაკლდა.

დიახ, მდგომარეობა მართლაც დამაფიქრებელია. მისი გამოსწორების ერთადერთ საშუალებად კი ქარხნის შრომითი კოლექტივი სამართლიანად მიიჩნევს იჯარის დანერგვას.

სამამისოდ, გვეუბნება ქარხნის დირექტორი ეზეზარ იმნაძე, უეჭველად საჭიროა საფუძვლიანი ცოდნა იმისა, თუ რა, როგორ და რანაირად ვაკეთოთ. ყოველ მუშას სრულად უნდა გავაგებინოთ იჯარის არსი და სიკეთე, სერთოდ კი, განგრძობს იგი, მიუხედავად ამჟამინდელი ცუდი მდგომარეობისა, ოპტიმისტურად ვუყურებთ ქარხნის მომავალს. დაწყებულია მისი რეკონსტრუქცია, აიგება შენობები, სადაც ახალი ავტომატიზებული ტექნიკა დაინერგება, შეამცირდება არამწარმოებლური ხარჯები. მწყობრში ჩადგება ალიბასტრის საამქრო, რომლისთვისაც დანადგარები უკვე შემოტანილია. დამთავრდა პროექტირება და 1990 წელს დაიწყება უჯრედოვანი ბეტონიდან მცირე საკედლე ბლოკების დამამზადებელი საწარმოს მშენებლობა, რომლის წლიური სიმძლავრე 80 ათასი კუბური მეტრი იქნება. პერსპექტივაში გათვალისწინებულია სასაქონლო კირის გამოშვება, რისთვისაც უნდა აშენდეს 100-ტონიანი ღუმელი, შეიცვლება აგურის გამოსაწვავი პრიმიტიული ღუმელებიც.

როგორც დირექტორთან საუბრით გამოირკვა, ქარხნის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს მინიმუმამდე შეამციროს საწარმოო რესურსების დანახარჯები. ხელფასის ფონდის მიხედვით მოგვარდება საკადრო საკითხები, გაძლიერდება იურიდიული სამსახური, რათა მთლიანად გამოიყენონ მიხეზებული უფლებები, რომელთა მიხედვითაც საწარმოს საშუალება მიეცემა სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევის შემთხვევაში ურჩ გადამხდელებს არ გადაუტვირთოს პროდუქცია და სხვ. საწარმოში ფართოდ ინერგება ანაზღაურების თანამედროვე ფორმები.

ყველაფერი ეს მართალია ახლო, მაგრამ მაინც მომავლის საქმეა. ქარხანას კი მანამდე სჭირდება შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოების სისტემატური და კვალიფიციური დახმარება. როგორც აღვნიშნეთ, ურჩი გადამხდელების წყალობით კიდევ უფრო ეარესდება ქარხნის ისედაც ცუდი ფინანსური მდგომარეობა, სათანადო რესპუბლიკური სამსახური კი მათ ისევ უგულვებელს საწარმოდან აგურის მიღებას. და საერთოდ, ისევ ზემდგომი ორგანოები გეგმავენ ყველაფერს ადგილობრივი სიტუაციის გაუთვალისწინებლად. ქარხანას არა აქვს დამოუკიდებელი მუშაობის საშუალება. მართალია „საქსაშენმასალების“ რესპუბლიკური გაერთიანება გარკვეულ დახმარებას უწევს საწარმოს, მაგრამ კოლექტივს, როგორც ითქვა, კვლავაც ყოველდღიური თანადგომა და დახმარება სჭირდება.

ამ და სხვა ღონისძიებების განხორციელება კი ქარხანას მისცემს ზეგეგმითს მოგებას, რაც მას დაეხმარება ყოველწლიურად დაფაროს ბანკის გადავადებული ნესხები, ნორმალურად და რიტმულად იმუშაოს. საწარმოს რაიონული ხელმძღვანელობის მეტი ყურადღება და საქმიანი დახმარებაც სჭირდება. „კომუნისტი“ კი, თავის მხრივ, კვლავაც დაუბრუნდება ამ საკითხს.

ჰენრი შარიძაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სოციალური სფერო

კოოპერაციულ მოძრაობას—სწორი მიმართულება!

ჭუთაისში შექმნილი კოოპერატივების დიდი ნაწილი უხმაროდ არღვევს კანონმდებლობასა და დებულებებს, ყოვნდება რეგისტრაციის ღონისძიებები.

— რაო, კოოპერატივებს აუქმებენო?

— კი, ძმაო, აუქმებენ.

— მერედა, კანონს სად მიუდიან, აკი, ყველაფერი ნებადართულია, რაც კანონით არ არის აკრძალულიო?

— ასე კია, და...

— მაგათი ყოფილა ქვეყანა!

— სხვისი არ ვიცი, მე კი გული გამისკდება, ასოა რომ დამიხურონ ჯერაც გაუხსნელი კოოპერატივი, ამდენი ფული ჩავყარე, სახელმწიფო სესხიც მივაშველე...

— კი, მაგრამ, ქალაქკომი და აღმასკომი ამ ორი წლის წინათაც ხომ იყო, კაცო! რავა, თავიანთ ხელში არ ჰქონდათ ძალა და უფლება! არ დავრთავდი ნებას და მორჩა!

— არც იარაღით, არც მუქარით არავინ დადგომიან თავს. ითხოვეს, და უფლებაც მისცეს, ახლა — დახურეთო? ვერაფერი გამიგია, რა ხდება.

ასეთ საუბრებს დღეს ხშირად მოისმენთ ქუთაისის ქუჩებში, საზოგადოებრივ თავშეყრის ადგილებში, ტრანსპორტში თუ სამსახურში. მართლაც რა ხდება?

ჩვენმა პარტიამ, დღეს რომ გარდაქმნის კურსი აიღო, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ერთ-ერთ ძირითად მიმართულად კოოპერაციული მოძრაობის გააქტიურება წინა პლანზე წამოსწია, დაალანძა კიდეც. ამ მოძრაობის უფლებამოსილება, მისდამი მხარდაჭერის აუცილებლობაც. მაშასადამე, კოოპერაციული მოძრაობა ჩვენს ქვეყანაში ცხოვრების ნორმა გახდა.

მაშ, ვინ ეწინააღმდეგება მართლაც და პროგრესულ ნორმას? ადგილობრივი ხელისუფლება? ადგილობრივი პარტიული ორგანოები? — სრულიადაც არა! მაშ, რატომ ჩგონიათ ასე?

საქმე ის არის, რომ სწორედ ჩგონიათ.

ფაქტობრივად?

ამ რამდენიმე დღის წინათ, კოოპერატორებთან სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე ხაზგასმით ითქვა, რომ საბჭოთა ორგანოების მოვალეობაა სწორი მიმართულება მისცენ კოოპერა

ფრთხილად, ერის საუნჯეა!

მცხეთის ჯვარი — ჩვენი სიამაყე და ერის გენიის ხორცშესხმული ძეგლი, საუკუნეების მანძილზე ალტაცების გრძნობას იწვევს ყველა მნახველსა და ჭეშმარიტი ხელოვნების დამფასებლებში.

ამიტომ, ბუნებრივია, მიმდინარე წლის 21 თებერვალს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ სტატიას: „რა შენდება მცხეთის ჯვართან?“ უამრავი მკითხველი გამოეხმაურა. გვწერენ რესპუბლიკის მშრომელები — უბრალო ადამიანები, გვწერენ ინტელიგენციის და ახალგაზრდობის წარმომადგენლები და, რაც მთავარია, გვწერენ სპეციალისტები — არქიტექტორები, მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები.

მათი გულისთქმა და აზრი ერთია — მცხეთის ჯვარი უნდა შევინარჩუნოთ მისი პირვანდელი სახით — მისი ლანდშაფტით და ბუნებრივი პირობებით, თუ გვსურს პატივი ვცეთ წინაპართა ხსოვნას, თუ გვსურს იგი ასე შეუბღალავად და შეურყვნელად გადავცეთ შთამომავლობას.

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებული მასალები ნათელ წარმოდგენას მისცემს მკითხველებს — გაერკვნენ მცხეთის ჯვართან წამოწყებული მშენებლობის უმართებულობასა და უსაფუძვლობაში.

მტკიცება და... ჭეშმარიტება

ლევან მუშკუდიანი:

გაზეთ „კომუნისტის“ 21 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებულ სიმონ კინწურაშვილის სტატიაში „რა შენდება მცხეთის ჯვართან?!“ რომელიც ეხება ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე წყლებისა და სუვენირების პავილიონების მშენებლობას. თითქოს არაფერია გასაკვირი, საქართველოს ყველა მკვიდრს დაინტერესებდა ეს საკითხი და ყველას აქვს უფლება გამოთქვას თავისი მოსაზრებანი.

საქმე ისაა, როგორ იქნება ის მიტახილი ფართო საზოგადოებამდე, როგორია საქმის ნამდვილი ვითარება, როგორი კუთხით შეხედა სტატიის ავტორმა ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხს.

ჯვრის მონასტრის დათვალიერება შეტანილია ყველა ტურისტულ მარშრუტში... უბრალო ლოგიკაა, რომ ასეთ მრავალრიცხოვან ტურისტს არც წყალი დასჭირდება და არც ტუალეტი?!

ს. კინწურაშვილი იშველიებს უხეიხელო მტკიცებას წყლის დასალევად ხომ არ მიდიან ჯვარზეო. პირდაპირ პარადოქსია, განათლებულ პიროვნებას, როგორი მსჯელობა დასჩემებია...

...ცეკავშირმა დაავალა საპროექტო ინსტიტუტს დაეპროექტებია წყლებისა და სუვენირების პავილიონი.

სამი წლის განმავლობაში საპროექტო ინსტიტუტი ფიქრობდა როგორი პროექტი შედგენილიყო, რომ ჯვრის მონასტრისათვის საზიანო არ ყოფილიყო, იყო ვარიანტები ხელოვნური ტბის მოპირდაპირე მხარეს, იქვე ტბასთან ახლოს, მაგრამ საბოლოოდ გადაწყდა, რომ პავილიონი უნდა აშენებულიყო ჯვრის მოედნის ნიშნულიდან 7-8 მეტრით დაბლა, მოედნიდან 30-40 მეტრის დაშორებით, მიწაში ჩაფლული (ბლინდაჟივით), რომელიც სამი მხრიდან, მაქსიმალურად მიწით იქნებოდა დაფარული (ზევიდან, გვერდებიდან და უკანა მხრიდან).

ასეთი ესკიზური პროექტი გაანიხილა და შეთანხმა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის სამმართველომ, საქართველოს სსრ სახმშენმა.

...ე. წ. ჯვრის მოედნიდან პავილიონამდე ჩასასვლელი კიბის შესახებ, სამწუხაროდ სამუშაოთა მწარმოებელმა პროექტს გადაუხვია. კიბის რაოდენობა შემცირებული იქნება მინიმუმამდე. ასევე, სამწუხაროდ მშენებლებმა პავილიონის ნიშნული ზევით ასწიეს 1-1,5 მეტრით.

საბოლოოდ რას ვიტყოდი?! სანამ დასკვნას გავაკეთებდე, მინდა ჩემი მუშაობიდან გავიხსენო ერთი შემთხვევა.

1970-71 წლებში დამავალეს სოხუმის ახლოს, კლდეში რესტორან „ეშერას“ გაფართოებისა და რეკონსტრუქციის პროექტის შედგენა. გადავწყვიტე კლდეში აძმაღუაანა პილონები, გადამეხურა რკინა-ბეტონის ფილით (ამით გაიზრდებოდა დასაჯდომი ადგილები). პილონები თავდაპირველად აგურისაგან ამოვიყვანე (შემდგომში მოპირკეთდებოდა ბუნებრივი ფლეთილი ქვით), როგორც კი დაინახეს აგურის კედელი, ზოგიერთმა ვაი-კრიტიკოსებმა წერილი აფრინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და ცეკავშირის მაშინდელ ხელმძღვანელობაში — ფუჭდება უნიკალური ადგილი „ეშერა“; გთხოვთ გამოავლინოთ დამნაშავენი და სხვ... მოიწვიეს საკმაოდ კომპეტენტური და განათლებული არქიტექტორი... „აგურის პილონების“ შესახებ დასკვნის გასაკეთებლად. იგი წერდა: „ვაცადოთ ავტორს ჩანაფიქრის ბოლომდე შემდეგ გამოყოფილ იქნეს კომპეტენტური კომისია. ხოლო თუ კომისია გადაწყვეტს შეჩერდეს პავილიონის მშენებლობა და დაინგრეს, ამის საწინააღმდეგო არავის ექნება.

სიმონ კინწურაშვილი:

„პასუხში რომელსაც ეწოდება „ჯობს პირდაპირ ვთქვათ სათქმელი“, ავტორი პატივცემული ლ. მუშკუდიანი, ამტკიცებს — „ჩვენი გაანგარიშებით (სადაა ეს გაანგარიშება? რომელი მეთოდით არის იგი ჩატარებული? ს. კ.) პავილიონი არ უნდა გამოჩნდეს არც ქ. მცხეთიდან (გარდა ერთი წერტილისა) და არც ჯვრის მონასტრის ტერიტორიიდან“.

მე არ შემიმოწმებია, მაგრამ მცხეთიდან შეიძლება მართლაც არ ჩანდეს „პავილიონი“, რაც შეეხება — „ჯვრის მონასტრის ტერიტორიიდან“ იგი ნამდვილად ჩანს. თუმცა ისიც დასაფიქრებელია, რას თვლის პატივცემული ლ. მუშკუდიანი „ჯვრის მონასტრის ტერიტორიად“?.

მაგრამ მთავარი სხვაა — ახალი ობიექტი — „პავილიონი“ კარგად ჩანს მდინარე მტკვრის გაღმა ნაპირიდან (სწორედ ამით გავიგე პირადად მე მშენებარე ობიექტის არსებობა). ე. ი. ხელოვნური ისტორიულად ჩამოყალიბებული, არქიტექტურისა და გარემოს შეწონასწორებული სილუეტი. როგორ მოვიქცეთ, — გაუთავებლად ვიმეოროთ ქრისტომათიული ჭეშმარიტება?!

პატივცემული ლ. მუშკუდიანი გვარწმუნებს (არა ერთგზის!), რომ „პავილიონი“ იქნება მიწაში ჩაფლული (ბლინდაჟივით), „სამი მხრიდან, მაქსიმალურად მიწით“, „დაფარული (ზევიდან, გვერდებიდან და უკანა მხრიდან“). ალბათ, უნდა ეთქვა — „ოთხი მხრიდან“. გენგეგმის, გეგმის, ფასადების (მთავარი და ერთ-ერთი გვერდითი ფასადი) ნახაზების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ეს მიამიტი მსმენელებისათვის გათვალისწინებული განცხადებაა...

საპროექტო დოკუმენტაციაში ერთ-ერთი გვერდითი ფასადის ნახაზის არსებობაც გამორიცხავს მისი მიწით დაფარვის სურვილს.

თუ რაღაც საშუალებებით მაინც მოხერხდა ნაგებობის „მაქსიმალურად მიწით დაფარვა“, გვერდითი ფასადების ორი მესამედი (ან ნახევარი) მაინც უნდა დარჩეს შიშველი ე. ი. „ბლინდაჟის“ მოკუღობა სივრცეში აუცილებლად წაიკითხება.

სანამ „პავილიონს“ მიწაში ჩაფლავდნენ“, კარგი იქნება პატივცემულმა ლ. მუშკუდიანმა რამდენიმე კითხვაზე გვიპასუხოს:

— რატომ არის გათვალისწინებული პროექტით მთავარი და გვერდითა ფასადების მოპირკეთება შორიდან ნათლად აღსაქმელი, ნათელი, ოქროსფერი ბოლნისის ქვით?

— რატომ ცდილობდა დაეგვარგვინებია წინგამოწეული, ნახევარცილინდრული, საბრძოლო კოშკების მაგვარი ორი რიზალიტი „ქართული“ ქონგურებით?

—როგორ ვერ გაუწია კონტროლი არქიტექტორმა „5 წელიწადი პერიოდულად მიმდინარე მშენებლობას...“ „თვითნება“ მშენებლებს, რომლებმაც თურმე „პავილიონის“ ნიშნული ზევით ასწიეს 1-1,5 მეტრით (მაინც რამდენით — 1 თუ 1,5 მეტრით? თუ?...)

...ამაზე შეიძლებოდა დეგვემთავრებაა „პასუხის“ პასუხი, მაგრამ პატივცემულ ლ. მუშკუდიანის „პასუხის“ ბოლო აბზაცი მართლაც „პარადოქსია“.

რა ვქნათ, ვაცადოთ, ცეკავშირს, მის საპროექტო ინსტიტუტს, არქიტექტორ ლ. მუშკუდიანს ბოლომდის მიიყვანონ საქ. სსრ სახმშენისა და ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს ხელშეწყობით წამოწყებული „საშვილიშვილო“ საქმე?!

პროექტის არქიტექტორის არგუმენტები სტატიის ავტორის კომენტარებით

● ეს ფოტოსურათი „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტმა ფელიქს კრიმსკიმ გუშინ გადაიღო. როგორც ხედავთ, ეგრეთწოდებული „პავილიონი“, რომლის კედელთა სისქე და სიმკვეთრე ტოლს არ უდებს მცხეთის ჯვრისას, და მცველის სახლი კვლავ ამაყად „ამოსდგომიან“ მხარში VI საუკუნის ძეგლს. ვის ელიან, რას უცდიან?! „ახალ მთავრობასო, — გვითხრეს ჯვარის რესტავრატორმა მუშებმა, — ახალმა, იქნებ, სხვაგვარად გადაწყვიტოს, იქნებ, ნებაც კი დართოს მის დასამთავრებლადო“. მცველის სახლიო — ვამბობთ, თორემ სინამდვილეში მცველისა არა სცხია რა მას. აგარაკს უფრო წააგავს, წინდაწინ საგანგებოდ ჩაფიქრებულსა და ხორცშესხმულს. ისიც არ დაგვიწყდეთ, რომ მონასტრის მხარეს, საიდანაც მცველმა თვალყური უნდა ადევნოს ძეგლს, უფანჯრო, ყრუ კედელია. სამგეიროდ, ტბისკენ გამავალი უზარმაზარი სარკმლებიდან შეუძლია დატკბეს ულამაზესი პეიზაჟით. საკითხავია, ვის იცავს იგი, ძეგლს, „პავილიონს“ თუ ტბას?

კომპეტენტურ ეჭვი

უნდა გავუფრთხილდეთ!

განა შეიძლება, არსებობდეს ქართველებისათვის იმაზე ძვირფასი განძი, რაც მცხეთის „ჯვარია“ და როდენ შემაშფოთებელია, ის, რომ მავანნი და მავანნი სწორედ ამ ქმნილების მხატვრული თუ სულიერი მთლიანობის დარღვევას ცდილობენ. არ ვიცი ეს არცოდნით მოსდით თუ უბრალოდ უპასუხისმგებლობით.

აბა, განა დასაშვებია, მის გვერდით, მთის ფერდობზე საავჭრო პუნქტის აშენება?

მცხეთის „ჯვარის ყველაზე დიდი დამსახურება ალბათ ისაა, რომ აქ ყოველივე თავის ადგილზეა და არაფრის დამატებას არ ითხოვს.

საუკუნეების მანძილზე ჩვენამდე მოღწეულმა მისმა გენიალურმა, მონოლითურმა მთლიანობამ, განა დღეს, ჩვენს ხელში უნდა დაჰკარგოს თავისი განუმეორებელი სახე?

მეტად დროული გახლავთ ბატონ სიმონ კინწურაშვილის სტატია, ამ საკითხთან დაკავშირებით, იმდენად, რამდენადაც დროულად გაგვახსენა და წარმოგვისახა ის საშიშროება, დიახ, საშიშროება, რომლის წინაშე ჩვენ ვდგავართ. სანამ ჯერ კიდევ გვიან არ არის, საჭიროა ამ სავაჭრო პუნქტის მთლიანად ლიკვიდირება ისე, რომ მასგან არაფერი დარჩეს.

ამასთან, იმასაც ვიტყვით, რომ მხატვართა კავშირი, არავითარი თანხმობის მიცემას არ აპირებს იმ გაფორმებით სამუშაოებზე, რომელიც ამ შენობას დამპროექტებლებს გაუთვალისწინებიათ. ასე, რომ ამ საკითხში მხატვართა კავშირთან შეთანხმება ამაო ცდა იქნება, რის შესახებაც მათ ოფიციალურადაც მოხსენდებათ.

და საერთოდ, საიდან შეიძლება გაჩნდეს ასეთი აზრი, ამ თუნდაც ასეთი პრეტენზია რომ „ჯვრის“ გვერდით, რაიმე სხვა, თუნდაც უმნიშვნელო ნაგებობა აშენდეს.

განა არ უნდა იყოს ჩვენთვის „ჯვარი“ ჩვენი სიამაყის, ჩვენი ეროვნული სიამაყის თავი და თავი? განა რანაირ შემოსავალზე ან მოგებაზე შეიძლება იყოს აქ საუბარი, როდესაც საქმე ჩვენი ერის უძვირფასეს ქმნილებებს ეხება!

ამ დაუდევრობამ, საშინელ დღეში ჩაგდო მრავალი ისტორიული ნაგებობა და ჩვენ სულიერი კატასტროფის წინაშე დაგვაყენა, ლამის საერთოდ დაგვაგიწყა ჩვენი თავი, ჩვენი წარმომავლობა. საკუთარი წარმომავლობის დავიწყება კი ფაქტიურად სიკვდილს ნიშნავს.

• ასე, რომ უნდა გავუფრთხილდეთ წარსულს, რადგანაც მასზე ძვირფასი დღეს ჩვენ არაფერი გაგვაჩნია.

გია ბულაძე,
მხატვართა კავშირის მდივანი,

გოგი ჩაგელიშვილი,
საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

აკონტროლებდეს ფართო საზოგადოებრიობა

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვის კომისიამ გაფართოებულ სხდომაზე იმსჯელა მცხეთის ჯვრის სახელმწიფო დაცვის ზონაში „პავილიონის“ მშენებლობის თაობაზე.

კომისიამ სავსებით გაიზიარა გაზეთ „კომუნისტის“ პუბლიკაციაში მოყვანილი ფაქტების ავტორისეული შეფასება.

კომისიას მიაჩნია: მცხეთის ჯვრის მახლობლად ამჟამად მშენებარე „პავილიონი“ და აგრეთვე ადრე აგებული დარაჯის სახლი, უნდა დაიშალოს და შეძლებისდაგვარად აღდგეს რელიეფის პირვანდელი სახე.

მომავალში, მცხეთის ჯვრის ანსამბლისა და მისი არეალის გონივრული ექსპლოატაციისთვის, უნდა გადაიხედოს და დაზუსტდეს ძეგლის ირგვლივ დაცვის ზონის საზღვრები, ჩამოყალიბდეს მტკიცე პროგრამა ტურიზმისა და რელიგიური რიტუალის გათვალისწინებით, და ამის საფუძველზე შედგეს და დამტკიცდეს მცხეთის ჯვრის მიდამოების გენერალური გეგმა.

ამ კერძო ფაქტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ზოგიერთი უწყება, ორგანიზაცია, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო (კონკრეტულ შემთხვევაში — ცეკავშირის რესპუბლიკური საბჭო და მისი ქვედანაყოფები, მცხეთის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი) არ იცავენ ძეგლთა დაცვისა და გამოყენების თაობაზე არსებულ კანონმდებლურ მოთხოვნებს, ხოლო სახმშენის, ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამმართველო ვერ იჩენენ სათანადო პრინციპულობას, როგორც კანონით დადგენილ უფლებების გამოყენებისა და გატარების, ისე პროექტების განხილვისა და შეთანხმების საქმეში.

კომისიას მიაჩნია, აგრეთვე, რომ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების მახლობლად ახალი მშენებლობის, ძეგლების ფუნქციური დატვირთვის, ექსპლოატაციის საკითხებს მუდამ უნდა აკონტროლებდეს ფართო საზოგადოებრიობა.

საქართველოს არქიტექტორთა კავშირის ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლთა დაცვისა და გამოყენების კომისია.

საკამათო არც არის

ს. კინწურაშვილის წერილში მართლაც მეტად საყურადღებო და საჭირბოროტო საკითხია დასმული. ძველი ხელოვნების ნებისმიერი ნაწარმოების სიახლოვეს ახალი მშენებლობა, ცხადია, დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და იგი ასეეც აუცილებელია, როდესაც საქმე ეხება ეროვნული კულტურის ერთ-ერთ უდავოდ უშესანიშნავეს და, თამამად შეიძლება ითქვას, მსოფლიო მნიშვნელობის ქმნილებას. ს. კინწურაშვილის პოლემიკური, მკაცრი კილოც უთუოდ ამ გარემოებამ განსაზღვრა, სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რაკი საავჭრო ნაგებობის აშენებით ირღვევა მცხეთის ჯვრის ისტორიული გარემო, ზარალდება მისი და ბუნების ურთიერთკავშირი. წერილის ავტორი მართალია როდესაც მეტ თანმიმდევრულობასა და ოპერატიულობას ითხოვს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს სამეცნიერო-მეთოდური საბჭოსაგან. მართალია იგი მაშინაც, როცა მიუღებლად მიიჩნევს დიდისა თუ მომცრო, მაგრამ ასე თუ ისე შესამჩნევი მოცულობის გაჩენას მცხეთის ჯვრის ტაძრის სიახლოვეს. საკაძათო არც ის არის, რომ თუკი რაღაც ამგვარი შენობები (პავილიონი, მცველის სახლი, სხვაც რამე) ამ მიდამოში საზოგადოდ საჭიროა, ისინი ისეთგვარად უნდა დაიდგას, რომ არაფრით „ეჯიბრებოდეს“ VI-VII სს-ის ამ დიდებულ ძეგლს, მშენებლობა უეჭველად შეჩერებულ უნდა იქნეს, დამუშავდეს საგანგებო პროექტი და საგანგებოდვე იქნეს მოძიებული ადგილი ამ ობიექტთათვის, რომელთა აქ არსებობა სათანადო დასაბუთების საფუძველზე სასურველად ჩაითვლება.

დ. თუმანიშვილი,
გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

მოვითხოვთ დროულ რეაგირებას

ძეგლს, რომელმაც მეექვსე საუკუნიდან მოაღწია დღემდე, არ სჭირდებოდა არც მცველის სახლი, არც ბილეთების გასაყიდი ჯიხური, არც სასადილო. ძეგლს, რომელმაც დღემდე მოიტანა თავისი სიცოცხლე, ძალისხმევა, თურმე დასამრეგას ვუქადით.

ჩვენ არ ვაპირებთ იმის გამეორებას, თუ რა განკარგულებები, აუცილებელი ტექნიკური დასაბუთება, ნებართვების მიღება სჭირდება პროექტს მშენებლობისათვის. ყოველივე ეს აღნიშნულია გაზეთ „კომუნისტის“ 21 თებერვლის ნომერში არც პროექტის ავკარგიანობაზე ვაპირებთ პროფესიულ მსჯელობას და ალბათ არც დამნაშავის ძებნა იქნება სწორი, ვინაიდან დამნაშავეა თითოეული ჩვენგანი, დღევანდელი საზოგადოება (პირველ რიგში არქიტექტორთა საზოგადოება, არქიტექტორთა კავშირი, ძეგლთა დაცვა, საქართველოს სსრ სახმშენი).

მატერიალური კულტურის ძეგლების სულიერ ღირებულებებს კომერციულ-ეკონომიკური უნდა დექვემდებაროს და არა პირიქით.

წერილში ჩამოთვლილი ნაზარევის საფუძველზე საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი გადაწყვეტილება:

შეწყდეს მშენებლობა მცხეთის ჯვრის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიაზე;

დაიშალოს დარაჯის სახლი და რაიკოოპკავშირის მშენებარე ობიექტი;

შეძლებისდა მიხედვით აღდგეს ბუნებრივი ლანდშაფტი პირვანდელი სახით.

ვინაიდან დღეს ჯვარი მოქმედი ტაძარია, სასურველი იქნებოდა მისი ინტერიერის გამოთავისუფლება „ხელოსნური“ სიყალბისაგან.

„საქქალაქმშენსახპროექ ტ ი“ შრომითი კოლექტივი, არქიტექტურული საზოგადოება, რუსთაველის საზოგადოება აღნიშნულ ფაქტზე მოვითხოვთ თქვენს დროულ რეაგირებას.

ღრმად გვწამს, ჩვენი საზოგადოება ისე არ დაცემულა, რომ მცხეთის ჯვრის ტერიტორიაზე წარმოებულ სამშენებლო სამუშაოებს დაუჭიროს მხარი.

გ. მეტრეველი,
„საქქალაქმშენსახპროექტის“ შრომითი კოლექტივის სახელოს თავმჯდომარე,

დ. დემეტრაძე,
არქიტექტორთა კავშირის პირველადი ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარე,

ლ. მეძმარიაშვილი,
რუსთაველის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის თავმჯდომარე.

დოკუმენტი. რომელსაც ველოდით

საბოლოო გადაწყვეტილება მცხეთის ჯვართან მშენებარე პავილიონის დანგრევასთან დაკავშირებით, ცხადია, უნდა მიიღოს „საქსახკომარქიტექტურამ“.

მართლაც, 1984 წლის 4 აპრილს, „საქსახკომარქიტექტურის“ თავმჯდომარესთან ამხ. გ. მირიანაშვილთან გამართულ თათბირზე განიხილეს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული სტატია.

თათბირის მონაწილეებმა დაადგინეს:

„ძეგლთა დაცვის სამმართველომ, ქ. მუზეუმ-მცხეთის ისტორიული ცენტრალური ნაწილის დეტალური დაგეგმარების საავტორო ჯგუფის მონაწილეობით, დაამუშაოს მცხეთის ჯვრის კეთილმოწყობის პროექტი და გენერალური გეგმის სქემის ვარიანტები, რომლებიც წარმოადგინოს განსახილველად ერთი თვის ვადაში კომისიის სხდომაზე.

ვინაიდან ისტორიულ ტაძარში მღვდლის შესვლამ განაპირობა ტაძრის შიდა სივრცის შეცვლა, ძეგლთა დაცვის სამმართველომ დააყენოს საკითხი საპატრიარქოს წინაშე ჯვარზე მღვდლის არსებობის თაობაზე.

დარაჯის არსებული სახლი და არსებული ტუალეტი მიუღებელია და აუცილებლად უნდა იქნეს აღებული, როგორც კი გადაწყდება ჯვრის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის გენგეგმა.

არსებული მშენებარე ნაგებობის წინა ნაწილი, რომელიც უშლის ჯვრის აღქმას, უნდა დაინგრეს და ამ შენობის ნაწილის საბოლოო აღების ან მისი ფუნქციონალური გამოყენების საკითხი მოხდეს კეთილმოწყობის პროექტის დამუშავების შემდეგ.

ეს ხომ ეწინააღმდეგება კომისიის თავმჯდომარის გურამ მირიანაშვილის აზრს — „არსებული ნაგებობა (იგულისხმება „პავილიონი“ — რედ.) უნდა დაინგრეს“.

ასევე გაუგებარია, რატომ უშლის ხელს ჯვრის აღქმას შენობის წინა ნაწილი და არ შეუშლის ხელს მისი უკანა ნაწილი?

ორჭოფობა მტკიცე პოზიცია არ არის

რას ფიქრობს სამმართველო?

●მცხეთის ჯვართან რომ სხვა ნაგებობა არ აშენდეს, ცხადია, ამით პირველყოვლისა ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო უნდა იყოს დაინტერესებული. ამ თვალსაზრისის დაცვა ხომ მისი უპირველესი მოვალეობაა. ბუნებრივია, მკითხველიც ასე ფიქრობს, მაგრამ როგორ ფიქრობს თვით სამმართველო?

მოვიყვანოთ ორი ამონაწერი საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის სახელზე გაგზავნილი ორი წერილიდან:

1. „გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი ს. კინწურაშვილის წერილი, როგორც ყოველთვის გესლიანია. მოგახსენებთ უშუალოდ საქმის ვითარებას. ჯერ კიდევ 1982 წელს ცეკავშირის გამგეობას ზემდგომი ორგანოების მიერ ჰქონდა დავალება სასწრაფოდ მოშალოს ჯვართან არსებული საკმაოდ უსახო კიოსკი და მის ნაცვლად ააგოს წესიერი შენობა სუვენირებისა და წყლების გასაყიდად. ეს დავალება ცეკავშირის გამგეობამ მისცა არქიტექტორ ლ. მუშკუდიანს, რომელმაც წარმოადგინა იგი ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოში და სახმშენში. 1983 წ. 5 დეკემბერს ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ განიხილა პროექტი და დაადგინა წარმოდგენილი შენობის მოცულობა შემცირდეს სამჯერ მაინც, გათვალისწინებულ იყოს მხოლოდ წყლითა და სუვენირებით ვაჭრობა.

1987 წლის 23 ნოემბერს (ოქმი № 15) ძეგლთა დაცვის მეთოდურმა საბჭომ კვლავ განიხილა ამ პავილიონის პროექტი და გამოიტანა შემდეგი დასკვნა: საბჭო უარყოფს მცხეთის ჯვართან პავილიონის აშენებას. ცეკავშირის საზეკვების პავილიონისათვის აირჩევა სხვა შესაბამისი ადგილი ძეგლიდან მოშორებით. ამ ადგილს შეარჩევს სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს გასვლითი კომისია.

სწორედ ამ პერიოდში მე მძიმე ავადმყოფობა შემემთხვა, ჩემს არყოფნაში ამხ. ვ. ვარდოსანიძემ არ შეასრულა საბჭოს გადაწყვეტილება და პირიქით მომახსენა მოგვიანებით, რომ მშენებლობა არ იწვევს საფრთხეს.

1989 წლის თებერვალში ჩვენმა კომისიამ ადგილზე ინახულა მშენებლობა და გადაწყვიტა მისი გაუქმება, მაგრამ აქ დაისვა სხვა საკითხებიც. ეგებ მიზანშეწონილია 20 წლის წინ აგებული დარაჯის სახლის მონგრევაც, ვინაიდან იგი გაცილებით აზიანებს ხედს ჯვარზე, ვიდრე ახალი პავილიონი...

ი. ციციშვილი“.

* * *

2. „როგორც ბატონი ირაკლი წერს, დამნაშავე ყოფილა ამხ. ვ. ვარდოსანიძე.

მაგრამ გავბედავ კონტრარგუმენტების მოყვანას.

ბატონი ირაკლის გამოჯანმრთელების შემდეგ 1989 წლის თებერვლამდე თითქმის ცხრა თვე გავიდა, ე. ი. მთავარ სამმართველოს საკმაოზე მეტი დრო ჰქონდა გახსენებოდა საბჭოს 1987 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება ამ ხანებში კი თურმე მცხეთის ჯვარზე გახურებული სამშენებლო საქმიანობა მიმდინარეობდა...

შემდეგ ბატონი ირაკლი განაგრძობს: „ეგებ მიზანშეწონილია 20 წლის წინ აგებული დარაჯის სახლის მონგრევაც, ვინაიდან იგი გაცილებით აზიანებს ხედს ჯვარზე, ვიდრე ახალი პავილიონი“.

ვფიქრობ, მცხეთის ჯვრის ანსამბლზე ხედის დაზიანებაზე საუბარი ორი ნაგებობის შედარებით — „გაცილებით“ და „ვიდრე“, არ უნდა იყოს მართებული. როგორი — ხარისხითაც არ უნდა აზიანებდეს ესა თუ ის ნაგებობა ხედს ჯვარზე, იგი მაინც აზიანებს ხედს და ამდენად დასანგრევია.

ს. კინწურაშვილი“.

● აქედან ჩანს, რომ ძეგლთა დაცვის სამმართველო ორჭოფობს — დაანგროს პავილიონი თუ იგი დარაჯის სადგომად და საპირფარეშოებად გადააკეთოს.

დასკვნის გამოტანა თვით მკითხველისათვის მიგვანდია.

დაუყოვნებლივ

უნდა შეწყდეს

21 თებერვლის გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილთან („რა შენდება მცხეთის ჯვართან?!“) დაკავშირებით რუსთაველის საზოგადოების აზრი ასეთია:

ყოველგვარი მშენებლ ო ბ ა მცხეთის ჯვრის შემოგარენში დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს. არემარე გაიწმინდოს სამშენებლო მასალებისაგან.

საერთოდ, ქართული ისტორიული და საკულტო ძეგლების გარშემო უნდა დაწესდეს ზღვარი, რომლის შიგნით ყოველგვარი მშენებლობა აკრძალული იქნება.

აკაკი ბაძრაძე,
რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე.

მკითხველი ეხმაურება

ეცხეთის ჯვრის მონასტრის გარეშოს ბუნებრივი სახით აღდგენის მოთხოვნა სამართლიანია.

ამ დიდებული ძეგლის სანახავად უცხოეთიდან მრავალი მოგზაური ჩამოდის და მომავალშიც ჩამოვა. მათ არ უნდა მივცეთ უფლება თქვან: ქართველთა წინაპრებს მაღალი გემოვნება ჰქონიათ, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით თანამედროვე ქართველებზეო.

აშენებული დაინგრეს, ნანგრევები გაიტანონ და მიწის ზედაპირს მიეცეს ბირვანდელი იერი.

ალექსანდრე ბოსტაშვილი.
თბილისი.

ინტერესით წავიკითხეთ წერილი „რა შენდება მცხეთის ჯვარზე?“ და მუზეუმის თითქმის ყველა თანამშრომელს დაგვებადა ერთი კითხვა: ჩვენგან რაღა უნდოდათ?! გამოდის, რომ მთავარი სამმართველო მშვიდად უყურებს მცხეთის ჯვრის ტერიტორიაზე უზარმაზარი პავილიონის მშენებლობას, ხმას არ იღებს რესპუბლიკური ინსპექციაც, მაშინ, როდესაც ინსპექციის უფროსი კუპრეიშვილი ჩვენს მუზეუმში გამოლილ ბუხარსა და გამხმარი ფოთლების გროვას უწევდა კონტროლს და მცირედენი ნაკლის გამო აწ განსვენებულ ჩვენს დირექტორს მოხსნით ემუქრებოდნენ. იქნებ თქვენ აგვიხსნათ ყველაფერი. ეს იმიტომაც გვაინტერესებს, რომ მცხეთის მუზეუმის დირექტორი (ვის დაქვემდებარებაშიც არის მცხეთის ჯვარი) ერთ პერიოდში ჩვენს მუზეუმშიც კი მოავლინეს, პარალელურად, ჩვენი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ცირა გონგაძე,
ნუგზარ ანთელავა,
ლევან ჩაკვეტაძე,
და სხვები.
საქართველოს ხალხური ხელოვნებათმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლები.

სიტყვა — მწერალს

ნუ წავბილწავთ წმიდათაწმიდას

დარწმუნებული ვარ, მართლა მე არ ავუღელვებივარ კომპეტენტური პიროვნების დასაბუთებულ და მამულიშვილური გულისტკივილით აღბეჭდილ პუბლიკაციისა... მაგრამ, მოგეხსენებათ, გაგონილს ნანახი სჯობს...

სულ არ არის აუცილებელი არქიტექტორი იყო, რომ გაგაოგნოს იმან, რაც ჩემი თვალით ვნახე! წარყვანილია ჯვრის სილუეტი, დარღვეულია ჰარმონია, რომელიც ამ ტაძრის ამშენებელმა შექმნა საკუთარი დახვეწილი გემოვნებისა და გენიალური ინტუიციის მეოხებით — მან იგრძნო ლანდშაფტი და საკუთარ ქმნილებას სამყდამოდ დაუკავშირა გარემოს მკაცრი, მაგრამ ძალზე მეტყველი პოეზია!

საოცარია, რატომ აწერს ხელს „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ამ წერილს მხოლოდ ბატონი სიმონ კინწურაშვილი?! დავიჯერო ქართველ არქიტექტორთა მთელ არმიას ლევან მუშკუდიანის დაპროექტებული „სასადილო“ უფრო ეძვირფასება, ვიდრე ქართული ქრისტიანული კულტურის მშენებელთა ფასდაუდებელი მემკვიდრეობა?!

ნუთუ აღარ ახსოვთ ჩვენს სახელოვან არქიტექტორებსა და ქართველ საზოგადოებრიობას, როგორ „შეავჭმევინეთ“ თბილისის პირველი ეკლესია ანჩისხატი, გამაგრილებელი წყლებისა და რესტორან „ქალაქურის“ თავისთავად არც თუ ურიგო შენობებს?! იქნებ მითხრან ვინ შეაწუხა იმან, რომ აშენდა რესტორანი გურჯაანის ყველაწმიდის ტაძრის სიახლოვესა და კომფორტის მოყვარულთა დიდი მცდელობით დამახინჯდა გერგეტის სამება? რომელი ერთი გავიხსენოთ!

ახლა ჯერი მცხეთის ჯვარზე მიდგა! გერგეტის სამების მეზობლად აჩინჩხილი კონსტრუქციისა არ იყოს, ახალმა „სასადილომ“ წაბილწა ჯვრის დახვეწილი სილუეტი, დაარღვია ის ჰარმონია, რომელზეც უკვე მოგახსენეთ და თუ არაფერი მოვიმოქმედეთ, ვეღარასოდეს ვეზიარებით იმ პოეზიის მადლს, რომელსაც დიადთან შეხებისას გრძნობდა ხოლმე ყოველი ჩვენთაგანი თუ უცხო სტუმარი!

რა საკადრისია ბატონებო! (უფრო მეტი რომ არა ვთქვათ!) რა უნდა მცხეთის ჯვრის ფერდზე ფარდულებს, რესტორანსა და საპირფარეშოებს?! რითი შეიძლება გავამართლოთ ამგვარი უხამსობა?!. იქნებ ტურისტებზე ,ან თანამემამულეებზე ბრუნვით?! ვინ დაიჯერებს ამას? არავინ! თუ ვინმეზე ან რაიმეზე ვბრუნავთ მცხეთის ჯვრამდე მიმავალ გზაზე, ტაძრის მიღმა — მოფარებულში, ჩადგან „მზრუნველებმა“ დარაჯის სამყოფელიცა და სხვა ისეთი მცირე ნაგებობანი, რომლებიც აუცილებელია საშინაოდაც და სა

ᲒᲖᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲔᲓᲖᲔ

ᲒᲠᲘᲑᲝᲚ ჩირინაშვილის ხნის მხატვრებს დღეს უფროს თაობად მოვიხსენიებთ ხოლმე, თუმცა, რა თქმა უნდა, ამგვარი განსაზღვრა პირობითი და ზოგადია. და თუ დროის იმ მონაკვეთს გავიხსენებთ, საიდანაც იწყება შემოქმედი, ხელოვნებაში ჩირინაშვილის მიერ განვლილმა გზამ თითქმის ხუთი ათეული მიითვალა. აქ უკვე თვალი უნდა გადავავლოთ იმ წვლილს, მხატვარმა რომ შეიტანა ეროვნული ხელოვნების განვითარებაში.

თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტის 1943 წლის კურსდამთავრებული თავიდანვე აქტიურად ჩაერთო საქართველოს მხატვართა ცხოვრებაში. როგორც შემოქმედმა, თან ჩოიტანა საკუთარი სათქმელი თემები, რომლებიც აღელვებდა და რომელსაც იგი თავისი ხალხის წარსულსა და თანამედროვე ცხოვრებაში პოულობდა. სხვადასხვა დროს შესრულებული მისი ტილოები, მაღალ სახვით ოსტატობასთან ერთად, ავლენენ ხელწერის ინდივიდუალურ თვისებებსაც, ფაქიზ ლირიზმს, რაც ასე კარგად ჩანს ნაწარმოებთა ფერწერულ-პლასტიკურ გააზრებაში, სიმეტყველო ინტონაციაში, ეროვნულად გამომსახველ მხატვრულ სახეებში.

როცა ამ შვიდიოდე წლის წინათ მხატვარმა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში ფიროსმანისადმი მიძღვნილი თავისი ახალი ნამუშევრების ვრცელი გამოფენა გამართა, ფართო სახოგადოება, ცხადია, კარგად იცნობდა მის არა მხოლოდ ფერწერულ, არამედ გრაფიკულ და სკულპტურულ შემოქმედებასაც. და მაინც, სურათების ციკლი „ჩემი თბილისი და ფიროსმანი“ ავტორის ხელახალ აღმოჩენას ჰგავდა. ცხადია, თვით თემის ღრმად პოეტურმა განცდამ განაპირობა მხატვრულ სახეთა ახლებური ამეტყველება, გააფაქიზა ფერმწერის ფუნჯი და სახვითი ენა. ტილოებში ხატოვნად აისახა თბილისურ ბოჰემას შეზრდილი მარტოსული მხატვრის ცხოვრება, მრავალფეროვან სიუჟეტურ მოტივებზე გარდაისახება ღრმად რეალისტურ სურათებად, სადაც ავტორის წარმოსახვა არ მორჩილებს მშრალ დოკუმენტურობასა და თხრობითობას. განზოგადების მხატვრული ხერხები, რომელსაც ჩირინაშვილი გაბედულად და ზომიერების გრნნობით მიმართავს, მკაფიოდ გამოკვეთს მოვლენის ხასიათს, ეროვნულ სულს შთაბერავს მხატვრულ სახეებს.



ჩირინაშვილის „ფიროსმანიანას“ ერთსულოვანი აღიარება ხვდა პირველივე ექსპოზიციიდან. მაგრამ მხატგრის სათქმელი ამოწურული როდი აღმოჩნდა. შემდგომ წლებში ეს ციკლი კვლავ გამდიდრდა ახალი ტილოებით, რომლებიც დამთვალიერებელმა იხილა უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს სახოგადოების შენობაში, თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, მირზაანის ფიროსმანის სახლ-მუზეუმში გამართულ გამოფენებზე. ამ ნაწარმოებებს გაეცვნენ მოსკოვსა და საზღვარგარეთ მოწყობილ გამოფენებზეც. 1987 წელს ტოკიოში ციკლის ერთ-ერთ სურათს ოქროს მედალი მიეკუთვნა.

აღსანიშნავია გრიგოლ ჩირინაშვილის მრავალწლიანი პედაგოგიური მოღვაწეობაც. ადრე იგი ასწავლიდა თბილისის სამხატვრო სასწავლებელში, ამჟამად კი, სამოცდაათი წლის მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი, სიყვარულით ემსახურება ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეს.

ახალი გამარჯვებები და ფუნჯის უბრალობა ვუსურვოთ!

ᲚᲔᲘᲚᲐ ᲗᲐᲒᲣᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მხატვარი გრ. ჩირინაშვილი; რეპროდუქციები ციკლისა — „ჩემი თბილისი და ფიროსმანი“.

ᲛᲐᲠᲚᲔᲜ ᲑᲐᲒᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ „ᲕᲐᲠᲫᲘᲐ“

● **ᲣᲐᲮᲚᲐᲡᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინდივიდუალური და საოჯახო ტურიზმის განვითარებას. ახლა, როდესაც გაზაფხული უკვე ძალაში შევიდა, მართლაც რა სჯობს, ტურისტული ბილიკებით მოიარო ჩვენი მადლიანი მინა-წყალი, დატკბე უძველესი ციხე-გალავნებისა და ეკლესია-მონასტრების სილამაზით. მაგალითად, განა რამე შეედრება ვარძიის დათვალიერებას? კლდეში ნაკვეთი ამ საოცარი ქალაქის ტურისტული კომპლექსის დირექტორი Შ. ᲑᲔᲠᲘᲫᲘ „კომუნისტის“ კორესპონდენტს უამბობს:**

— ვარძიის ტურისტული კომპლექსი წლეულს პირველად მიიღებს როგორც ინდივიდუალურ დამსვენებლებს და ტურისტებს, ისე საოჯახო ტურიზმის. მოყვარულებს.

აქ ჩამოსულ ტურისტთა და დამსვენებელთა განკარგულებაშია 200-ადგილიანი კინოდარბაზი, ბიბლიოთეკა, ტურისტული კაბინები, სხვადასხვა სპორტული ინვენტარი, სამკურნალო მინერალური წყლების ბაზაზე აგებული კეთილმოწყობილი აუზი. ბაზის ტერიტორიაზეა აგრეთვე „ნარზანის“ ტიპის ცხელი და ცივი სამკურნალო წყლები.

დამსვენებლებსა და ტურისტებს შესაძლებლობა აქვთ საფუძვლიანად გაეცნონ ქართული კულტურის აკვანს — მესხეთს, მის ისტორიულ წარსულს.

საგზურების შეძენა შეიძლება როგორც ნაღდი ანგარიშით, ისე გადარიცხვით, დამსვენებელთათვის ხელსაყრელი ვადით. საგზურის ღირებულება დამოკიდებულია სასტუმროს ფასის ღირებულებაზე (ერთი ადგილი დღეში სამჯერადი კვებით 6; 6,50; 7,30 და 8,70 მანეთი ღირს).

ოჯახური, კოლექტიური და ინდივიდუალური დასვენებისათვის შეკვეთებს მივიღებთ მომდინარე წლის 25 მაისამდე.

ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲘᲫᲘᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲘᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘ

ᲘᲛ ამბებთან დაკავშირებით, რომლებიც თბილისში მოხდა 9 აპრილს დილით, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გენერალური პროკურორის მითითებით აღძრულია საქმე იმ მიზნით, რომ გამოძიებულ იქნეს მომხდარი ამბის გარემოებანი და გადაწყდეს ბრალეულთა პასუხისმგებლობის საკითხები.

გამოსაძიებლად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პროკურატურასთან შეიქმნა დიდი საგამოძიებო ბრიგადა და სამხედრო იურისტთა საგამოძიებო ჯგუფი, რომლებიც მჭიდრო კონტაქტში და თანამშრომლებით მუშაობენ. სამხედრო იურისტთა საგამოძიებო ჯგუფის შემადგენლობაში შეყვანილი არიან დიდად კვალიფიციური მუშაკები. საგამოძიებო ჯგუფს ხელმძღვანელობს მთავარი სამხედრო პროკურატურის წარმომადგენელი — განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი, იუსტიციის პოლკოვნიკი ვლადიმერ პავლეს ძე **მატუსი**. სამხედრო იურისტების მიერ წინასწარი ძიებისას კანონების ზუსტი შესრულების ზედამხედველობა დაევალა მთავარი სამხედრო პროკურატურის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან სისხლის სამართლის საქმეთა საძიებო განყოფილების პროკურორს, იუსტიციის პოლკოვნიკს ივანე დიმიტრის ძე **გოლოვეშკინს**.

საგამოძიებო ჯგუფს ამოცანად დაესახა ყველა კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი განხორციელოს იმისათვის, რომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოძიებულ თბილისში 1989 წლის 9 აპრილს დილით მომხდარ ამბებში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ძალებისა და საბჭოთა არმიის ქვეგანაყოფების მონაწილეობის გარემოებანი, მოქალაქეთა წინააღმდეგ ძალის, სპეციალური ქიმიური საშუალებების, ცალკეულ შემთხვევებში კი ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების კანონიერება.

საგამოძიებო ჯგუფი შეუდგა სისხლის სამართლის გამოძიებას. მიმდინარეობს სამხედრო მოსამსახურეებს, მეთაურთა შემადგენლობის, მოწმეებისა და დაზარალებულების დაკითხვა, ორგანიზებულია მრავალმხრივი ექსპერტიზები. ექსპერტიზებში მონაწილეობის მისაღებად მოწვეულია არიან თვალსაჩინო მეცნიერები — სხვადასხვა დარგის სპეციალისტები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან და საქართველოს სს რესპუბლიკიდან.

ჩემი აზრით, საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან და სპეციალისტ-მეცნიერებთან ერთად შეეძლებთ პასუხი გავცეთ ბევრ საკითხს, რომლებიც აწუხებს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ადამიანს და განსაკუთრებით ქართველ ხალხს, თავს გავართმევთ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებას და ზუსტად კანონის შესაბამისად მივიღებთ გადაწყვეტილებებს.

ნაადრევი დასკვნები და ცნობები, ხშირად კატეგორიული ხასიათისა, რომლებიც ამჟამად ქვეყნდება ბევრ გაზეთში და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა მეშვეობით, ხელს არ უწყობს მომხდარი ამბების სწორ და მშვიდ გაგებას, არცთუ იშვიათად, მთელი რიგი საკითხების მხრივ, შეცდომაში შეჰყავს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობაც და საერთაშორისო საზოგადოებრიობაც.

ჩვენ ძალზე ვწუხვართ მომხდარი ამბების ტრაგიკული შედეგების გამო.

ვსარგებლობ შესაძლებლობით და ყველა მოქალაქეს ვთხოვ, ენდონ ჩვენს პროკურორებსა და გამომძიებლებს, ყოველნაირი ხელშეწყობა და დახმარება გაუწიონ მათ.

ძვირფასო ამხანაგებო, მხოლოდ თქვენი დახმარებით შეეძლებთ საფუძვლიანად და ყოველმხრივ გავერკვეთ მომხდარი ამბების მიზეზებში.

საქმის გამოძიება გრძელდება.

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲕᲐᲡᲘᲚᲘᲔᲕᲘ,
მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილე, იუსტიციის გენერალ-მაიორი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჟურნალისტთა კავშირის გამგეობას სამდივნომ, გაზეთ „ლელოს“ მე-10000 ნომრის გამოსვლასთან დაკავშირებით, სპორტული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ამ რედაქციის თანამშრომლებს — ზ. კახაძეს, გ. ქორქიას, თ. ხარაბაძეს, ნ. ქვანიას, რ. ქორქიას და ე. ბოჟორიშვილს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საპატიო სიგელები გადასცა.

ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲗᲐ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

ᲗᲐᲕᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲐᲓ ᲒᲠᲫᲝᲜᲔᲑᲔᲜ

● **ᲚᲐᲒᲝᲛᲝᲓᲘᲗᲘ.** რაიონის ბევრმა მშრომელმა სომხეთში მიწისძვრით დაზარალებული მოსახლეობა შეიფარა. ანზორ დარჩიაშვილმა თავის ჭერქვეშ სამი სომხური ოჯახი შეიხიზნა. ესენი არიან არშაკიანების, ვაჟდანიანებისა და პაპოიანების ოჯახები.

— საკუთარი ოჯახის წევრებივით მიგვიღეს დარჩიაშვილებმა, — გვითხრა არშაკ არშაკიანის მეუღლემ პარაკსაიმ, — ჭერიც უსაყვედურო გვაქვს, კვებაც, გულის სითბოსაც არ გვაკლებენ.

არშაკ არშაკიანმა (ლენინაკანის მაუდ-კამეოლის კომბინატის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარე) ამ დღეებში ოჯახის წევრები მოინახულა და მეტად კმაყოფილი დარჩა. მან თქვა: 10 დეკემბერს ჩამოვიყვანე ჩემი ოჯახი ამ მადლიან ხალხთან და ისევ ლენინაკანში დავბრუნდი. იქ ახლა ძალიან ბევრი საქმე მაქვს. დეკემბრის შემდეგ არაფერი ვიცოდი ჩემი ოჯახისა, ვდარდობდი, თუმცა ანზორმა ნასვლისას დამაიმედა, მაგრამ მაინც ვფიქრობდი, როდემდე შეინახავს მეთქი, თურმე ვცდებოდი, გაუზომ-აუწონავად ყოფილა დაგროვილი სიკეთე და კაცთმოყვარეობა ქართველების გულში. მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე დარჩიაშვილების სიკეთეს ვერ გადავიხდი.

გარდა ამ ოჯახებისა, ლაგოდეხელები დიდი ყურადღებას აქცევენ ლაგოდეხის ტურბაზა „კავკასიონში“ დაბინავებულ ასზე მეტ სომეხს.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ

● **ᲡᲐᲛᲐᲠᲔᲯᲝ** („კომუნისტის“ საკ. კორ.). თორმეტი წლის წინათ ფერეიდნიდან დაბრუნდა მამუკა ფანიაშვილი. ახლა კი მის კვალს ძმა — ალექსანდრე გამოჰყვა. ამდენი წლის უნახავი ძმები გულმხურვალედ შეხვდნენ ერთმანეთს. 39 წლის ალექსანდრემ ჩამოიყვანა მეუღლე — ირან გუგუნაშვილი და ხუთი შვილი.

— რვა წელია საქართველოში წამოსვლისათვის ვემზადებოდი, იქ ცუდად არ ვცხოვრობდი. შოფერი ვარ, ჯერ საკუთარი ავტობუსი მქონდა, მერე — ტრაილერი, საზღვარგარეთ ვეზიდებოდი ტვირთს. მაგრამ იქ გული არ მიდგებოდა. სახლი მესამე ძმას ნოვრუზს (ნუგზარს) დავუტოვე (მასაც ხუთი შვილი ჰყავს, დას ზოჰრას კი — შვიდი). მათ, და ბევრ სხვა ფერეიდელ ქართველსაც სურს საქართველოში დაბრუნება. ალბათ, აიხდენენ სანდელს. ჩემმა ბავშვებმა, ჯერჯერობით ქართული კარგად არ იციან, — სპარსულ სკოლებში სწავლობდნენ. დედაენა დედამ — გოგიჩაიშვილის ქალმა გვასწავლა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა, — გვითხრა ალექსანდრემ.

სამშობლოში დაბრუნებული ფანიაშვილების ოჯახი დროებით ძმასთან დაბინავდა. მალე იქვე დასახლდებიან.

ᲓᲦᲔᲡ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, დასავლეთის ქარი 6-11 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 20-25, ზღვისპირეთში — 14-19, მთაში — 18-23, მაღალმთიანეთში — 12-17 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში: ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, შესაძლებელია სეტყვა, დასავლეთის ქარი 9-14, ზოგან 15-20 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 23-28, მთაში — 19-24, მაღალმთიანეთში — 15-20 გრადუსი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ — ცვალებადი მოღრუბლულობა, საღამოს და ღამით ხანმოკლე წვიმა, ჭექა-ქუხილი, ჩრდილო-დასავლეთის ქარი 9-14, გარეუბნებში — 15-20 მეტრი წამში, ტემპერატურა — 26-28 გრადუსი.

ᲣᲙᲣᲮᲝᲕᲗᲘᲡᲨᲘ

ᲡᲐᲙᲚᲔᲡᲘ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ
26 Ა�პᲠᲘᲚᲘ

◆ **ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ**

ᲡᲐᲠᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐᲘᲡᲝ ᲛᲝᲬᲕᲝᲓᲔᲑᲐ

ᲞᲠᲐᲰᲐ. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღესთან — 1 მაისთან დაკავშირებით მოწოდებით მიმართა მასში შემავალ ყველა ორგანიზაციას.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ ყველა ქვეყნის მშრომელს მოუწოდა გააძლიერონ ბრძოლა გამალებული შეიარაღებისა და განიარაღებისთვის, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევების და მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენებისათვის, სრული დასაქმების უზრუნველყოფისა და განათლების, კულტურის განვითარებისათვის.

მიმართვაში სოლიდარობას უცხადებენ ყველა კონტინენტის მშრომელთა ბრძოლას თავიანთი უფლებებისათვის, მშვიდობიანი მერმისისათვის, ხაზგასმულია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის დემოკრატიზაციის აუცილებლობა, ფედერაციამ მოუწოდა პროფკავშირებს აქტიურად წინააღუდგნენ ტრანსეროვნული კორპორაციების და ბანკების შეტევას მშრომელთა საარსებო ინტერესების წინააღმდეგ, მიაღწიონ მშრომელთა დემოკრატიული და პროფკავშირული უფლებების განხორციელებას, ყველა ფორმის დისკრიმინაციისა და აპარტეიდის მოსპობას.

● **ᲐᲨᲨ**

ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲔᲕᲐᲠᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტა გააძლიეროს ზემოქმედება თავის ნატოელ მოკავშირეებზე, რათა არ დაუშვას ევროპაში ტაქტიკური ბირთვული იარაღის თამბაზე მოლაპარაკების დაწყება, რომელიც შესთავაზეს ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებმა.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო სააგენტო ადმინისტრაციის ოფიციალურ პირთა დამოწმებით იუწყება, ამერიკა შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა დეპეშები დაუგზავნა ამერიკის ყველა საელჩოს ნატოს ქვეყნებში, რომლებიც შეიცავს მითითებას განხორციელონ დიპლომატიური დემარში შესაბამისი მთავრობების მიმართ, რათა მათ ხმარი არ დაუჭირონ მოლაპარაკების იდეას. ნოტებში, რომლებიც ელჩებმა უნდა გადასცენ ადგილსამყოფელი ქვეყნების საგარეო საქმეთა სამინისტროებს, ჩამოყალიბებული უნდა იყოს შეერთებული შტატების ოფიციალური პოზიცია ტაქტიკური ბირთვული რაკეტების მოდერნიზაციის საკითხში, აგრეთვე ვაშინგტონის არგუმენტები ამ საკითხზე მოლაპარაკების გამართვის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა რიჩარდ ჩენინმ ბოლო ხანს მრავალგზის განაცხადა, ასეთი მოლაპარაკება „შეერთებული შტატების ინტერესებს არ შეესაბამება“, ვინაიდან, მისი აზრით, ევროპაში ტაქტიკური ბირთვული იარაღის მოსპობა ნატოს მიმართ „საფრთხეს გაზრდის“.

ᲕᲘᲬᲘᲚᲘᲡᲬᲠᲐ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝᲨᲘ

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝ. სამშაბათს მექსიკის დედაქალაქში 8 საათსა და 30 წუთზე ადგილობრივი დროით აღინიშნა რამდენიმე საკმაოდ ინტენსიური მიწისძვრა ბიძგი. რადიოს ცნობის თანახმად, მიწისძვრის ცენტრი იყო 300 კილომეტრზე ქვეყნის დედაქალაქიდან გერეროს შტატში და მისმა სიმძლავრემ მეხიკოში გადააჭარბა 6 बალს რიხტერის სკალით. ამ მომენტამდე არ არის ინფორმაცია მსხვერპლის შესახებ. რადიო იუწყება იმასაც, რომ დედაქალაქის მთელ რიგ რაიონებში დაიწყრა რამდენიმე შენობა, რომლებიც ძლიერ დაზიანდა 1985 წლის მიწისძვრის დროს და მას შემდეგ ამ სახლებში არავინ არ ცხოვრობდა.

ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲝᲨᲘ

● **ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ**

ᲐᲣᲥᲛᲔᲑᲔᲜ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲑᲐᲖᲔᲑᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა გააუქმოს სამი სამხედრო-საჰაერო ბაზა. ამას იუწყება საფრანგეთის ფრანს პრესის საინფორმაციო სააგენტო.

1989-1991 წლების განმავლობაში დაიხურება სამხედრო-საჰაერო ბაზები ობის, ეველინის დეპარტამენტებში, აგრეთვე აიჰერნში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება მთელ რიგ სამხედრო სამკურნალო დაწესებულებებში ადგილების შემცირების შესახებ. ეს ზომები, აღნიშნავს თავდაცვის სამინისტრო, მიღებულია შეიარაღებული ძალების შენახვისათვის ხარჯების შემცირების პროგრამის ფარგლებში.

● **ᲑᲔᲚ�გᲘᲐ**

Დ. ᲝᲠᲢᲔᲒᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. ევროპის პარლამენტის კომისიის შენობაში გამოვიდა ნიკარაგუის პრეზიდენტი დანიელ ორტეგა, რომელიც მოგზაურობს დასავლეთი ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში.

იგი შეეხო ცენტრალურ ამერიკაში ვითარების მოწესრიგების ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს. ნიკარაგუის სახელმწიფოს მეთაურმა აღნიშნა, კერძოდ, რომ ცენტრალური ამერიკის რეგიონია პრობლემებს საფუძვლად უდევს უთანასწორო დამოკიდებულება ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, ის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურს აღიაროს სუბკონტინენტის ხალხების დამოუკიდებლობის, თვითგამორკვევის და სუვერენიტეტის უფლება, აგრეთვე ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო დავალიანების პროგრამა, რომელმაც 400 მილიარდ დოლარს მიაღწია. ნიკარაგუა, აღნიშნა მან, უარყოფს ძალის გამოყენებას, როგორც პრინციპს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში და მხარს უჭერს პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას.

● **ᲐᲒᲚᲐᲜᲔᲗᲘ**

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲔᲚᲩᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲥᲐᲑᲣᲚᲘ. უპასუხა რა დასავლეთის დეპეშათა სააგენტოების, მათ შორის ასოშიეიტედ პრესისა და იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის კითხვებზე ქაბულში საბჭოთა საელჩოსათვის ამას წინთ რაკეტის ცეცხლის დაშენის თაობაზე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, სსრ კავშირის ელჩმა ავღანეთის რესპუბლიკაში ი. მ. ვორონცოვმა განაცხადა შემდეგი:

საბჭოთა საელჩოზე ამ დანაშაულებრივი თავდასხმის პირდაპირ შემსრულებლებს და იმათ, ვინც მათს ზურგს უმაგრებს, მათ შორის ავღანეთის ფარგლებს გარეთ, უნდა ესმოდეთ, რომ ამგვარი მოქმედება დაუჯერელი არ დარჩება. თუ ვინმე კვლავ ეცდება საფრთხეში ჩააგდოს საბჭოთა მოქალაქეების — დიპლომატების, სპეციალისტების სიცოცხლე, რომლებიც დახმარებას უწევენ ავღანელ ხალხს, მფრინავების სიცოცხლეს, რომლებსაც ჰუმანიტარული დახმარება მიაქვთ ქაბულის მოსახლეობისათვის, საპასუხო საბჭოთა მოქმედება, ავღანეთის მთავრობასთან მიღწეული მორიგების საფუძველზე, დაუყოვნებლივი და ყველაზე მტკიცე ხასიათისა იქნება.

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘᲞᲘᲡ ᲚᲔᲜᲢᲘᲓᲐᲜ

⊙ **ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ.** ჯექსონ-ვენიკის შესწორების მოქმედება, რომელიც ზღუდავს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ვაჭრობის განვითარებას, უნდა შეჩერდეს, განაცხადა ამ საკანონმდებლო ღონისძიების ერთ-ერთმა ავტორმა, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის უოფილმა წევრმა ჩარლზ ვენიკმა. მან მხარი დაუჭირა ქალაქ სან-ფრანცისკოს სავაჭრო პალატის რეზოლუციას, რომელიც მოუწოდებს ამერიკის ადმინისტრაციასა და კონგრესს შეცვალონ ამჟამად მოქმედი ამერიკული კანონმდებლობა და საბჭოთა კავშირს მიანიჭონ ვაჭრობაში უმეტესი ხელმეწყობის სტატუსი.

⊙ **ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ.** ვარშავაში გაიხსნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის ორდღიანი სხდომა. დეპუტატებმა უნდა განიხილონ მთელი რიგი მნიშვნელოვანი კანონპროექტები. პარლამენტარები განიხილავენ სახელმწიფოსა და კათოლიკურ ეკლესიას შორის ურთიერთობის კომპლექსის მარეგულირებელ იურიდიულ აქტებს. დეპუტატთა განსახილველად გამოტანილია კანონპროექტთა პაკეტი, რომლებიც მიზნად ისახავენ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა განხორციელებას.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲢᲐᲚᲦᲐᲖᲔ

ᲒᲣᲜᲓᲘ ფეხბურთის მოყვარულთა ყურადღების ცენტრში იყო ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში. აქ გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მორიგი მატჩი საბჭოთა კავშირისა და გდრ-ს ნაკრებ გუნდებს შორის. ამ შეხვედრის შედეგს, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეტოქეთათვის, რომლებიც ევროპული ზონის III ჯგუფში გამოდიან.

გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა — 3:0.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜᲐᲨᲘ საკდესმა ყურადსაღები ამბავი მოიტანა. ცნობილმა იტალიურმა ფირმამ — „სიმოდმა“, რომელიც სპორტულ ფეხსაცმელს ამზადებს და თავისი საწარმოები მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში აქვს, სურვილი გამოთქვა შუამავლის როლი იკისროს საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროს მწვრთნელ ვალერი ლობანოვსკისა და იტალიის ერთერთ წამყვან საფეხბურთო კლუბს შორის კონტრაქტის დასადებად.

„სიმოდის“ წარმომადგენელთა მტკიცებით, მათს ქვეყანაში დიდ ინტერესს იჩენენ ცნობილი საბჭოთა სპეციალისტის მიმართ, ყურადღებით აკვირდებიან მის საშეკრებელო მუშაობას. კონტრაქტის გაფორმების შესაძლებლობაზე (თანაც უახლოეს დროში) ისიც მეტყველებს, რომ ლობანოვსკის უკვე დადებული აქვს გრძელვადიანი პირადი კონტრაქტები იტალიის საფეხბურთო კლუბებთან. თუ მხარეები შეთანხმდებიან და „სიმოდის“ მეშვეობით ხელშეკრულება გაფორმდება, ლობანოვსკი მხოლოდ 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ შეძლებს შეუდგეს მუშაობას იტალიაში.

ᲑᲝᲚᲝᲚᲘ გაგაცნობთ პირველი ლიგის გუნდების საკავშირო პირველობის მეხუთე ტურის შედეგებს: „მეტალურგი“-„ტორპედო“ — 1:2, ბათუმის „დინამო“-„დაუგავა“ — 0:0, სტავროპოლის „დინამო“ — „გურია“ — 1:1, ასკ-„კოტაიკი“ — 0:2, „სპარტაკი“-„ხისტრუ“ — 2:0, „ნეფთჩი“-„ტავრია“ — 3:1, „ყუბანი“-„კარპატი“ — 2:0, „ფახთაქორი“-ცსკა — 0:1, „კაირატი“-„კუზბასი“ — 1:0, „გეოლოგი“-„ფაკელი“ — 0:0, „შინაკი“-„როსტელმაში“ — 3:3.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲥᲐᲚᲑᲘᲠᲘᲡᲘ“ ᲗᲣ „ᲡᲢᲠᲝᲘᲢᲔᲚᲘ“?

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲝᲒᲝᲜᲘᲗ კალათბურთის გულშემატკივარი ადვილად ახსოვთ ვლადიმერ კაუნასის „ქალბირისისა“ და კიევის „სტროიტელის“ გუშინწინდელი სუპერფინალური მატჩის ტელეტრანსლაციას. ეს იყო ამ გუნდების მეორე შეხვედრა ოქროს მედლებისათვის ბრძოლაში. პაექრობა, როგორც მოსალოდნელი იყო, უაღრესად დაძაბული და საინტერესო გამოდგა. გამარჯვების შემთხვევაში „სტროიტელი“ (საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად) ინაღდებდა პირველ ადგილს. ბუნებრივია, უკრაინელი კალათბურთელები იშვიათი თავგამოდგებით თამაშობდნენ. პირველი ტაიმი მათ ათი ქულის უპირატესობით (53:43) მოიგეს და შესვენების შემდეგაც კარგახანს არ დაუთმიათ ინიციატივა. საბჭოთა კალათბურთის აღიარებული ლიდერი — „ვალერისი“ მარცხის აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, თუმცა მასპინძლებმა კრიტიკულ მომენტში შეძლეს ძალების მობილიზება და ბოლო წუთზე გაათანაბრეს კიდეც ანგარიში — 87:87. შეხვედრის დამთავრებამდე 12 წამი რჩებოდა. ბურთს კიეველები ფლობდნენ. ალექსანდრე ვოლკოვის ზუსტი ტყორცნა და საფინალო სირენის ხმა ერთმანეთს დაემთხვა. მსაჯებმა რამდენიმე წუთს ითათბირეს და დამატებითი დრო დანიშნეს. ბოლო ხუთწუთიან მონაკვეთში კაუნასელებმა უკეთ ითამაშეს და გაიმარჯვეს — 98:93.

„სტროიტელის“ უფროსმა მწვრთნელმა ვ. ბოჟენარმა განაცხადა, რომ პირველს ამ მატჩის შედეგის გაპროტესტებას. მისი აზრით, ვოლკოვმა სირენამდე შეასრულა სამქულიანი ტყორცნა.

გუშინ მოვიდა ცნობა, რომ კალათბურთის საკავშირო ფედერაციამ მიიღო კიეველთა პროტესტის წერილი. ფედერაცია ამ საკითხს უახლოეს დღეებში განიხილავს.

საქართველოს ომისა და შრომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, შრომის ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირი

**ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ